საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოლ-ევიკი სიფაქვაა, ტაქტიკებით და ჯიბეებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკიდურესობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 11 მაისი. 2022 წ. №59 (9397) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

პუტინიზმი – პოლიტიკური რუტინიზმი

იხ. 4 გვ.

მტერზე უარესი მოყვარე

გახარიამ სააკაშვილს შეუთვალა, შენს საქმეში არ ვერევიო!

შალვა პაპუაშვილი: ყველა, ვინც ამბობს „თავისუფლება მიშას“, დასცინის სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლებს!..

იხ. 3 გვ.

ბრიტანეთის ელჩი: საქართველოს მთავრობა რუსეთს სანქციების თავიდან აცილებაში არ ეხმარება!

2

ღვინის ამოჭრა ზოჭრიდან

– ლაზიერი რომ ხდება, პაიკს თავისი საგვარეულო ავიწყდება.

ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალური ფესტივალი დაიწყო

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში, ჯანსუღ კახიძის სახელობის მე-7 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი ეროვნული სიმფონიური ორკესტრის კონცერტით გაიხსნა.

ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ცნობით, სოლისტები იყვნენ: ეკა მამალაძე, ნეკა სეიბისკვერაძე, ნატო კახიძე, დათო ნოზაძე და გედევან ჯინჭარაძე. კონცერტს მაესტრო ვახტანგ კახიძე დირიჟორობდა.

„ფესტივალის გახსნას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო. საღამოზე შესრულდა ცნობილი ქართველი კომპოზიტორების – არჩილ კერესელიძის, რევაზ ლალიძის, სულხან ცინცაძის, ბიძინა კვერნაძის, გიორგი ცაბაძის, გია ყანჩელის, ჯანსუღ კახიძისა და ვახტანგ კახიძის პოპულარული სიმღერები სხვადასხვა ქართული კინოფილმიდან.

8 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით, ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი ჯანსუღ კახიძის სახელობის მე-7 საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალს მასპინძლობს.

საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი შემსრულებლები. 14 მაისს დაგეგმილ კონცერტზე მსმენელი ცნობილი ბრაზილიელი მომღერლის პაულა მორელენბაუმისა და მისი კვარტეტის, ასევე, თბილისის სიმფონიურ ორკესტრის ერთობლივ კონცერტს იხილავს.

22 მაისს ფესტივალი გრემის მუსიკალური ჯილდოს მრავალგზის მფლობელის, ბრაზილიელი კომპოზიტორის, მომღერლისა და პიანისტის ივან ლინსის, მისი ბენდისა და თბილისის სიმფონიური ორკესტრის კონცერტით დაიხურება. ჯანსუღ კახიძის სახელობის მე-7 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და თბილისის მერია“, – ნათქვამია ინფორმაციაში.



ქუთაისის ოპერის თეატრი აღორძინდება!

იხ. 12 გვ.



„ცისკარი“ კულტურის სამინისტროს მიერ პირდაპირი დაფინანსებით გამოიცემა



ჟურნალის ერთი ნომრის გამოსაცემად სამინისტრომ გამოყო 8 870 ლარი, განსხვავებით წინა წლებისგან, როდესაც ამისთვის საშუალოდ 7 000 ლარი იყო გამიზნული.

იხ. 9 გვ.

გამარჯვება და მშვიდობა!

...პირველ რიგში მინდა, ჩვენს გმირ ვეტერანებს მივულოცო დღევანდელი დღე, 9 მაისი, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი, მინდა, ჩემი დიდი პატივისცემა დავუდასტურო ჩვენს გმირ ვეტერანებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მეორე მსოფლიო ომში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში განაცხადა, სადაც მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად, მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

მთავრობის მეთაურმა მელიტონ ქანთარიას ბიუსტი გვირგვინით შეამკო, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი მიულოცა და მათ მადლობა გადაუხადა.

„მოგეხსენებათ, ქართველებს გვაქვს ძალიან დიდი წვლილი და დამსახურება ამ ომში გამარჯვების. რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ მინდა, ქედი მოვიხარო ჩვენი გმირების წინაშე, რომლებმაც თავი გაწირეს მსოფლიოს უკეთესი მომავლისთვის და ჩვენი, ქართველების ძალიან დიდი დამსახურებაა ამ ომში გამარჯვებაში. მინდა, მოგილოცოთ 9 მაისი და ყველას გისურვოთ გამარჯვება და მშვიდობა“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილი 100 წლის ომის ვეტერანს იოსებ ტუხაშვილს სახლში ეწვია და ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა!

9 მაისთან დაკავშირებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს, 100 წლის იოსებ ტუხაშვილს სახლში ეწვია.

მთავრობის მეთაურმა ომის ვეტერანს ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავი მიულოცა და თარიღთან დაკავშირებით საჩუქრები გადასცა. ირაკლი ღარიბაშვილმა იოსებ ტუხაშვილს ჯანმრთელობა და მხნეობა უსურვა. ომის ვეტერანმა პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ვეტერანების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან არსებული ყურადღება ძალიან დასაფასებელია. პრემიერთან ერთად, ფაშიზმზე გამარჯვების დღე მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელმა კობა კობალაძემ მიულოცა.

103 წლის მერი მაღრაძეს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცა. შალვა პაპუაშვილი 103 წლის მერი მაღრაძესთან სტუმრად იმყოფებოდა.

შალვა პაპუაშვილმა მერი მაღრაძეს მადლობა გადაუხადა თავგანწირვისა და იმ წვლილისთვის, რომელიც პირადად მან და სხვა ვეტერანებმა ფაშიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ შეიტანეს. პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა ისიც, რომ ქართველი ხალხი გმირებს არ დაივიწყებს. საქართველოს პარლამენტის სახელით, მან ვეტერანს საჩუქრებიც გადასცა.

მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად – 1000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები 500 ლარს მიიღებენ

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 77-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად – 1000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები – 500 ლარს მიიღებენ.

შესაბამის განკარგულებას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ხელი უკვე მოაწერა. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებისა და მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახების წევრებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტო უზრუნველყოფს, ხოლო თბილისში რეგისტრირებულთათვის – დედაქალაქის მერია.

ჩვენი ქვეყანა ასოციირების ხელშეკრულების შესრულების ერთ-ერთი ლიდერია

პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, გარდა ფაშიზმის დღისა, 9 მაისს ასევე ევროპის დღე აღინიშნება და ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ უკვე გააკეთა ევროკავშირში წევრობაზე განაცხადი.

„იცით, რომ პროცესი დაძრულია და რა თქმა უნდა, ევროკავშირის მადლიერი ვართ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის კითხვარი უმოკლეს ვადაში შეადგინეს, რომელსაც ასევე მოკლე ვადაში პასუხები გაეცა. იცით, რომ პირველი ნაწილი უკვე გადაცემულია და დიდი ალბათობით, პასუხების მეორე ნაწილის გადაცემა ხვალ მოხდება. უკვე შეფასებას დაველოდებით.

იცით, რომ საქართველო-უკრაინა-მოლდოვის საკითხი ერთად განიხილება. ჩვენ ვართ სამი ქვეყანა, რომელიც ერთ ეტაპზე არიან. ამავე დროს, ამ სამ ქვეყანას შორის საქართველო ერთ-ერთი ლიდერია ასოციირების ხელშეკრულების შესრულების თვალსაზრისით. საქართველოში ასოციირების ხელშეკრულების 40 პროცენტი უკვე შესრულებულია და ამ თვალსაზრისით საკანონმდებლო დონეზე ევროკავშირთან საკმაოდ მჭიდროდ დაახლოებული ვართ“!..

კარლ ჰარცელი: ევროკავშირი საქართველოს გვერდით დგას!

ევროკავშირის წარმომადგენლობამ საქართველოში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, ევროპის დღეს აღნიშნა.

ევროპის დღეს, ტრადიციულ განცხადებაში, ელჩი კარლ ჰარცელი ყურადღებას ევროკავშირისა და საქართველოს საერთო ღირებულებებზე ამახვილებს და კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის სოლიდარობას, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, განსაკუთრებით, უკრაინის მიმართ.

„როდესაც რუსეთი ევროპაში თავის გაუმართლებელ ომს აწარმოებს, ჩვენ მტკიცე სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინას და მის გვერდით ვდგავართ, იმ ღირებულებებსა და პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც გვაერთიანებს და რომელსაც ჩვენი კავშირი ეფუძნება. საქართველოში ჩვენი მჭიდრო პარტნიორობა იმავე ღირებულებებზეა დაფუძნებული, პარტნიორობა, რომელიც მომავალში გაიზრდება, რადგანაც საქართველომ ისტორიული ნაბიჯი გადადგა – ევროკავშირის გაწევრიანებაზე განაცხადი შეიტანა, მისი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მისწრაფებების შესაბამისად და ცივილიზაციურ ფესვებზე დაყრდნობით. ევროკავშირი საქართველოს გვერდით დგას – ძლიერი, აყვავებული და დემოკრატიული ქვეყნის აღმშენებლობის მხარდასაჭერად“, – აცხადებს ჰარცელი ვიდეო მიმართვაში.

ბრიტანეთის ელჩი: საქართველოს მთავრობა რუსეთს სანქციების თავიდან აცილებაში არ ეხმარება!

დიდი ბრიტანეთის ელჩი საქართველოში აცხადებს, რომ ბრიტანეთის დაზვერვას არ აქვს და არ გადაუცია უკრაინის სადაზვერვო სამსახურისთვის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს მთავრობა რუსეთს სანქციების თავიდან აცილებაში ეხმარება, – ამის შესახებ **მარკ კლეიტონმა** „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში განაცხადა.

„მე გავეცანი მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას და სპეკულაციებს ამის შესახებ, მაგრამ ასევე ყურადღებას გავამახვილებ ფინანსთა მინისტრის განცხადებაზე. რაც ვნახე, საქართველოს ეროვნული ბანკი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ საქართველო არ იყოს გამოყენებული, რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული ფინანსური სანქციების თავიდან აცილების ადგილად. ჩვენ ვნახეთ მართლაც სწრაფი ქმედება. მაგალითად, VTB ბანკი, სანქციების შესაბამისად, რამდენიმე დღეში დაიხურა. „საქართველოს ბანკი“ და „თიბისი ბანკი“ ლონდონის საფონდო ბირჟაზე არიან წარმოდგენილნი და ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ფინანსური სანქციები უზრუნველყონ.

დაბოლოს, როდესაც საქმე ეხება ვაჭრობასა და სანქცირებული საქონლის შეზღუდვებს, ვიცი, რომ ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტროსთან და თქვენს საბაჟო სამსახურთან ერთად, მუშაობს იმისთვის, რომ არ იყოს გაჟონვა და ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმაც განაცხადა. ასე რომ, ვფიქრობ, ჩემი პასუხი არის ის, რომ არსებობს სანქციების უპრეცედენტო პაკეტი და გაერთიანებული სამეფო გააგრძელებს ჩვენს მოკავშირეებთან და პარტნიორებთან ერთად ამ ომისთვის პუტინისთვის უპრეცედენტო ხარჯების დაკისრებას. როგორც ვხედავ, საქართველო თავის როლს ასრულებს ამის დაცვაში და რა თქმა უნდა, ჩვენი იმედია, რომ საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ყველაფერს, რაც შეუძლია, რათა საქართველო არ გახდეს სანქციებისგან თავის არიდების ადგილი“, – განაცხადა კლეიტონმა.

ნანა ჩაჩუა: ომის თემასთან დაკავშირებით, რასაც ახლა შიშს უწოდებენ, მხოლოდ სიფრთხილეა და გონივრული რამაა...

ომის თემასთან დაკავშირებით, რასაც ახლა შიშს უწოდებენ, არის სიფრთხილე და გონივრული რამ, – ამის შესახებ გადაცემაში „იმედი LIVE“ ფსიქოლოგმა ნანა ჩაჩუამ განაცხადა.

ფსიქოლოგმა ნანა ჩაჩუამ შიშის შესახებ განმარტება გააკეთა. **„არის ასეთი პათოლოგიური მდგომარეობა, როდესაც ადამიანს შიშის უნარი არ აქვს. ეს უკვე კლინიკაა. შიში არის პროპორციული ყოველთვის იმისა, რაც საფრთხის შემცველია და ეს არის ადამიანის გონიერების, მისი აზროვნების ერთ-ერთი მაჩვენებელი: რისი უნდა მეშინოდეს და რისი – არა“,** – განაცხადა ფსიქოლოგმა.

მისი თქმით, შიშის სხვადასხვა ფორმა არსებობს და იგი ადამიანის ჯანსაღი ფსიქიკის მაჩვენებელია, რითაც ადამიანი სინამდვილესთან ადეკვატურ დამოკიდებულებას ამყარებს. ჩაჩუამ ასევე განმარტა, თუ რა არის სიმხდალე. **„სიმხდალე არის სწორედ ის, სადაც მე ჩემი შესაძლებლობები გამაჩნია, მაქვს, უკან ვიხევ, ვერ ვბედავ, ამას უამრავი სხვადასხვა ფსიქოლოგიური მექანიზმი უდევს საფუძვლად და ესეც ჩვეულებრივი ადამიანური მდგომარეობაა, მაგრამ ომის თემასთან დაკავშირებით, რასაც ახლა შიშს უწოდებენ, არის სიფრთხილე და გონივრული რამ“,** – დასძინა ნანა ჩაჩუამ.

ნათია მეზვრიშვილი:

გახარიამ სააკაშვილს შეუთვალა, შენს საქმეში არ ვერევიო!

„ნაციონალური მოძრაობისა“ და პარტია „საქართველოსთვის“ „პოლიტიკური ძორწინება“ შესაძლოა, „გაყრით“ დასრულდეს. **გიორგი გახარიას** თანაგუნდელმა **ნათია მეზვრიშვილმა** განაცხადა, რომ პარტიაში არ სურთ **მიხეილ სააკაშვილის** თავისუფლებაზე ხილვა: „პარტია „საქართველოსთვის“ არ და ვერ შეუერთდება მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების და პასუხისმგებლობისთვის თავის არიდების მოთხოვნას. ჩვენი პოზიცია ყოველთვის იყო, რომ მის მიმართ მართლმსაჯულება უნდა აღსრულდეს, ოღონდ ისე, რომ კითხვის ნიშნები ამ მართლმსაჯულების პროცესთან დაკავშირებით არ უნდა გაჩნდეს“, — განაცხადა მეზვრიშვილმა.

გიორგი გახარიას პარტიის გადაწყვეტილება ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძეს არ გაჰკვირვებია. მისივე თქმით, პარტია „საქართველოსთვის“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ „პოლიტიკურ ქორწინებაში“ კი იმყოფება, მაგრამ სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით პირველადი პოზიცია არ შეუცვლია.

> **„ნაციონალურ მოძრაობას“ საგამოძიებო კომისიის შექმნასთან დაკავშირებით ერთი ხმის დამატება სჭირდებოდა, მაგრამ გახარიას პარტიაში განაცხადეს, რომ სააკაშვილის გათავისუფლებას მხარს არ დაუჭერენ. მათ ეს პოზიცია თავიდანვე ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ექს-პრემიერის გუნდი რამდენიმე საკრებულოში „ნაციონალურ მოძრაობასთან“ პოლიტიკურ ქორწინებაში იმყოფება, პირველადი პოზიციის შეცვლით, შესაძლოა, გამოეწვიათ პოლიტიკური ზიანი არა მარტო მათ ამომრჩეველში, არამედ საზოგადოებაშიც. აქედან გამომდინარე, გადაწყვიტეს, რომ ამ საკითხთან მიმართებაში პირველადი პოზიცია არ შეეცვალათ“,** — აღნიშნა ანჯაფარიძემ.

ზაალ ანჯაფარიძე ასევე არ გამორიცხავს, რომ ექს-პრემიერის პარტიის გადაწყვეტილებამ შესაძლოა „ნაცმოძრაობასთან“ პოლიტიკური განქორწინება გამოიწვიოს.

> **„ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი მოულოდნელი რამ მომხდარა, რაზედაც პროგნოზი წინასწარ ვერ კეთდებოდა. გამორიცხული არაა, რომ ამ პოზიციამ გავლენა მოახდინოს მათ ერთობლივ თანამშრომლობაზე. პირადად მე, ასეთ ვარიანტს არ გამოვრიცხავ“,** — განაცხადა ანალიტიკოსმა.

ანალიტიკოს **ვახტანგ ძაბირაძესაც** პარტია „საქართველოსთვის“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კოჰაბიტაციის არ სჯერა, ამიტომ ნათია მეზვრიშვილის განცხადება ექს-პრეზიდენტის გათავისუფლებასთან დაკავშირებით არ გაჰკვირვებია.

> **„გიორგი გახარიას პარტიასა და „ნაციონალურ მოძრაობას“ რამდენიმე საკრებულოში ჯამურად უმრავლესობა კი ჰყავთ, მაგრამ ეს კოჰაბიტაციას არ ნიშნავს. ნორმალურ საპარლამენტო მმართველობაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ყოფილ პრემიერს ყოველგვარი პირობების გარეშე, საკუთარი მანდატები „ნაციონალური მოძრაობისთვის“ რომ მიეცა, მაშინ კი ბატონო, შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ისინი კოჰაბიტაციაში არიან. როგორც გახსოვთ, გახარიამ ძალიან მარტივი პირობა წამოაყენა — კოალიციაში ვიქნები გნებავთ „ქართულ ოცნებასთან“, გნებავთ „ნაცმოძრაობასთან“ იმ შემთხვევაში, თუ ჩემი პარტიის წარმომადგენელი საკრებულოს თავმჯდომარე გახდებაო. მმართველი გუნდი ამ წინადადებაზე არ წავიდა, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ დათანხმდა. ამიტომ, იქ სადაც თანამშრომლობა შეიძლება, ითანამშრომლა, თუმცა, სააკაშვილის გათავისუფლებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება აქვთ. მესმის, რომ ჩვენთვის უჩვეულოა, მაგრამ ზოგადად, ეს არის ძალიან ნორმალური პოლიტიკური პროცესი. სხვაგვარად პოლიტიკა არ კეთდება“,** — განუცხადა ძაბირაძემ.

ანალიტიკოსის განცხადებით, სააკაშვილის ჯანმრთელობისა თუ გათავისუფლების თემით მხოლოდ და მხოლოდ მმართველ გუნდი და რადიკალურ ოპოზიცია სპეკულირებენ. მისივე თქმით, ორივე მხარეს აწყობს, რომ ქვეყანაში სხვა საკითხები გადაიფაროს.

> **„დღეს სააკაშვილის ჯანმრთელობაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება. აბა, ვის უნდა დაეკისროს?! პატიმრის ჯანმრთელობა პენიტენციურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს. გახარიას გუნდში აქვთ ეჭვი და ვიტყოდი, რომ მათი ეჭვი რეალურია. რაზე მაქვს საუბარი — ამ თემაზე „ქართული ოცნება“ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად, სააკაშვილის ჩართულობით სპეკულირებენ. მუდმივად მიდის ლაპარაკი ყოფილი პრეზიდენტის ხან შიმშილობაზე, ხან ჯანმრთელობის გაუარესებაზე, თითქოს სხვა თემა არ არსებობს. ადგეს ხელისუფლება და გამოაქვეყნოს, თუ რა სჭირს ამ კაცს, ან რას სთავაზობენ, ან რაზე ამბობს უარს. ამით სპეკულაცია დასრულდება. ამით იმის თქმა მინდა, რომ სააკაშვილის მუდმივი განხილვით, „ქართული ოცნება“ სხვა თემების გადაფარვას ცდილობს.**

მათთვის ეს მომგებიანია, თუმცა მომგებიანია „ნაციონალური მოძრაობისთვისაც“, რადგან რიგგარეშე არჩევნებისთვის იბრძვის. ამიტომ, სულ უნდათ, რომ ყოფილი პრეზიდენტის საკითხი აქტუალური იყოს. თანაც მარტივი თემაა, არ უნდა ბევრი შრომა და ფიქრი. გამოხვალ და იტყვი, საწყალ სააკაშვილს ხვალ და ზეგ შეიძლება ცუდი რამ დაემართოს და იმ წამსვე ერთი ამბავი ატყდება. ამით კი იკვეთება საინტერესო რამ — პოლიტიკური პარტიები, ვინც თვლიან, რომ შესაძლოა, მომავალ არჩევნებზე ბლოკი დასჭირდეთ, რათა პარლამენტში მანდატები მიიღონ, ისინი აქტიურად „ნაცმოძრაობას“ მხარს უჭერენ. ამაშია საქმე და ესაა მთელი უბედურება“, — აღნიშნა **ვახტანგ ძაბირაძემ.**

ქეთი გიორგაძე

შალვა პაპუაშვილი:

ყველა, ვინც ამბობს „თავისუფლება მიშას“, დასცინის სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლებს!..

ამასთან, პაპუაშვილმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო ვალდებულია, აღასრულოს ის განაჩენი, რომელიც გამოიტანა ქართულმა სასამართლომ სამივე ინსტანციაში, — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

„ამ ისტორიას მეორე ნაწილიც აქვს, რაც გულისხმობს სხვადასხვა გზის ძიებას იმისთვის, რომ მიხეილ სააკაშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან დაიხსნან და აარიდონ ის სასჯელი, რაც მას სამართლიანად მიუსაჯა სასამართლომ პარლამენტის წევრის ცემის ორგანიზებისთვის და სანდრო გირგვლიანის მკვლელებისთვის ხელის დაფარების გამო. სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი სანდრო გირგვლიანის მკვლელებისთვის თავის არიდებაში იყო ჩართული. ქართულ სასამართლოს სხვა არაფერი უთქვამს, გარდა იმისა, რაც სტრასბურგის სასამართლომ თქვა. შესაბამისად, ყველა ადამიანი მისი წარმომავლობის თუ თანამდებობის მიუხედავად, ვინც ამბობს „თავისუფლება მიშას“, დასცინის სააკაშვილის დანაშაულის მსხვერპლებს და მართლმსაჯულების იდეას. ამიტომ, რა თქმა უნდა, ამ მხრივ სახელმწიფო ვალდებულია, აღასრულოს ის განაჩენი, რომელიც გამოიტანა ქართულმა სასამართლომ სამივე ინსტანციაში, მათ შორის სტრასბურგის სასამართლოს მიერ არის დადასტურებული“, — განაცხადა პაპუაშვილმა.

განვითარების ფონდის განცხადება კიდევ ერთი ცილისმწამებლური სიუჟეტის გამო

გვსურს, გამოვეხმაუროთ ერთ-ერთი ტელეკომპანიის მიერ მორიგ ცილისმწამებლურ სიუჟეტს, რომლის ერთადერთი მიზანი გადაუმოწმებელი და არასრული ინფორმაციის გავრცელებით საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და წარმატებით მიმდინარე სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონების“ შესახებ უარყოფითი დამოკიდებულების შექმნაა, — ამის შესახებ აღნიშნულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პროგრამის „განახლებული რეგიონები“ პირველი ეტაპით დაფინანსებული პროექტები დასკვნით ფაზაშია. რაც შეეხება პროგრამის მეორე ეტაპით განსახორციელებელ პროექტს, რეაბილიტაცია უტარდება არა მხოლოდ დედოფლისწყაროში არსებულ შინმოუსვლელთა მემორიალს, არამედ მემორიალის მიმდებარე 11 ჰექტარ ტერიტორიაზე იგეგმება რეკრეაციული, დასასვენებელი პარკის მოწყობა.

„დაგეგმილი სამუშაოები მოიცავს წლების წინ არსებული ტბის აღდგენას; ტერიტორიაზე ბავშვთა გასართობი მოედნებისა და სპორტული სივრცეების, კვების ობიექტების, ველობილიკის, ფანჩატურებისა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას. გარდა ამისა, მთელ ტერიტორიაზე დაგეგმილია ახალი ხე-მცენარეების დარგვა და მათი მოვლა-პატრონობისთვის აუცილებელი სარწყავი სისტემისა და წყლის რეზერვუარების მოწყობა; ასევე განათების, ელექტროენერგიის, გაზისა და ინტერნეტის კომუნიკაციების მონტაჟი.

2021 წელს დაწყებული სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონები“ მიზნობრივი პროგრამაა და მისი მთავარი ამოცანა ქვეყნის მუნიციპალიტეტების ურბანული განახლებაა. ურბანული განახლება მოიცავს ისეთ პროექტებს, როგორიცაა მნიშვნელოვანი კულტურული თუ ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული ცენტრების რეაბილიტაცია, რეკრეაციული სივრცეების მოწყობა და რეკრეაციულ პარკებში შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობა, ქალაქებისა და დასახლებების ურბანული განახლების საპროექტო დოკუმენტების შემუშავება. პროგრამა მოიცავს საქართველოს 63 მუნიციპალიტეტს და პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში მიმდინარე პროექტების დიდი ნაწილი უკვე დასრულების ფაზაშია.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამით დასაფინანსებელ პროექტების შერჩევა ხდება მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული საჭიროებების მიხედვით. სპეციალური კომისიის შემადგენლობაში, რომელიც პროგრამით დასაფინანსებელ პროექტებს არჩევს, შედიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები“, — ნათქვამია განცხადებაში.



კრემლს ნამდვილი მოკავშირეები თითქმის აღარ დარჩა, თუ არ ჩავთვლით „გარიყულ“ ქვეყნებს და შეუმდგარ სახელმწიფოებს. ვინ შეიძლება მიიჩნიოს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა მოკავშირედ?

2 მარტს, როდესაც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე რუსეთის უკრაინაში შეჭრა დაგმეს, შესაბამის ტექსტს გაეროს წევრი 193 ქვეყნიდან მხარი 141-მა დაუჭირა, თავი შეიკავა 35-მა. გარდა თავად რუსეთისა, ტექსტს მხარი არ დაუჭირა ბელარუსმა, სირიამ, ჩრდილოეთ კორეამ და ერიტრეამ. ამასთან, კენჭისყრაში ყველა ქვეყანა არ მონაწილეობდა, ზოგიერთ მათგანს ამის უფლება გადასახადების გადაუხდელობის გამო ჩამოართვეს.

„რადიო თავისუფლებამ“ შეადგინა იმ ქვეყნებისა და ლიდერების ნუსხა, რომლებსაც პუტინი ჯერ კიდევ შეიძლება დაეყრდნოს.

მტერზე უარესი მოყვარე

ბელარუსი,
ალექსანდრე ლუკაშენკო

ბელარუსის უცლელმა პრეზიდენტმა და მთავარსარდალმა 1994 წლიდან ალექსანდრ ლუკაშენკომ, იმავე ბატკამ, რეპრესიების, თავისუფალი მედიისა და ოპოზიციის განადგურების ხარჯზე ბელარუსში დიქტატურა დაამყარა. რეპრესიები განსაკუთრებით ბოლო ორ წელს იყო ხშირი. სექტემბერში ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ყველანაირი სიტყვის თავისუფლება მის ქვეყანაში „ექსტრემისტული საქმიანობაა“.

2020 წელს, როდესაც ბელარუსში არჩევნების გაყალბების გამო, მასობრივი გამოსვლები დაიწყო, ლუკაშენკო კრემლში ჩავიდა და რუსეთისგან მიიღო როგორც მრავალმილიარდიანი კრედიტი, ასევე დაპირება „მეგობრობისა და მხარდაჭერის“ შესახებ ბელარუსის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სანაცვლოდ. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა ცხადი, რაც რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი შემადგენლობა უკრაინას თავს სწორედ ბელარუსიდან დაესხა. რუსული ჯარები ბელარუსში დღემდე რჩებიან და მის აეროპორტებს უკრაინის დასაბომბად იყენებენ.

ვენესუელა,
ნიკოლას მადურო

ყოფილი ავტობუსის მძღოლი და ვენესუელის ახლანდელი პრეზიდენტი, რომლის ლეგიტიმურობას დასავლეთისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ბევრი ლიდერი აყენებს ეჭვქვეშ, უკვე დიდი ხანია ავი დიქტატორის კარიკატურად იქცა. დღეს ვენესუელის მოსახლეობის 92 პროცენტი სიღარიბეში ცხოვრობს, თითქმის 97 პროცენტი შიმშილობს. 2022 წლამდე ვენესუელა ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზში ყველაზე გაჭირვებულ ქვეყნად იქცა, ის ჰაიტისაც კი ჩამორჩება. აქ საშუალო შემოსავალი დღეში 72 ცენტია.

2020 წელს აშშ-მ და ევროკავშირმა მადურო ნარკოტიკების საერთაშორისო კონტრაბანდაში დაადანაშაულეს. გაერომ ასევე განაცხადა, რომ ვენესუელის ხელისუფლება ნიკოლას მადუროს ხელმძღვანელობით კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებს სჩადის.

გაეროს ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ ვენესუელის უშიშროების სამსახური, 2014 წელს, მონაწილეობდა სისტემატურ ძალადობაში პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ, ატერორებდნენ მოსახლეობას. ბევრი ამოწმებს, რომ მადურომ და მისმა მინისტრებმა არა მხოლოდ იცოდნენ ამ დანაშაულების შესახებ, არამდე ბრძანებებსაც თავად იძლეოდნენ. მიუხედავად ამისა, მოსკოვი პეკინთან ერთად ვენესუელის ძირითად მოკავშირედ რჩება. წლის განმავლობაში მოსკოვმა და კარაკასმა

ვინ ჩჩება მსოფლიოში პუტინთან?!

ათზე მეტ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი თანამშრომლობის შესახებ, მათ შორის, სამხედრო სფეროში.

ჩრდილოეთი კორეა,
კიმ ჩენ ინი

ჩრდილოეთ კორეის ხელმძღვანელი კიმ ჩენ ინი კიმების დინასტიის მესამე დიქტატორია. ჩრდილოეთი კორეა დღემდე რჩება ყველაზე ჩაკეტილ და გარიყულ ქვეყნად მსოფლიოში. ჩრდილოეთ კორეიდან მუდმივად ჟონავს ინფორმაცია სიკვდილით დასჯის მხეცური მეთოდების, კლანების განადგურების, მასობრივი რეპრესიების შესახებ. ქვეყანა მუშაობს ბირთვული იარაღის დამზადებაზე, რომლითაც ფხენიანი პერიოდულად ხან სამხრეთ კორეასა და იაპონიას ემუქრება, ხან — დასავლეთს.

კიმ ჩენ ინი რუსეთს ბოლოს 2019 წელს ეწვია. ის და პუტინი ერთმანეთს ორი საათის განმავლობაში დახურულ კარს მიღმა ხვდებოდნენ. პუტინმა განაცხადა, რომ შეხვედრა „საკმაოდ საფუძვლიანი“ იყო, კიმმა კი მას „შინაარსიანი“ უწოდა.

მიანმარი (ბირმა),
მინ აუნ ჰლაინი

მიანმარის ფაქტობრივი ლიდერი მინ აუნ ჰლაინი ხელისუფლებაში 2021 წელს, გადატრიალების შედეგად მოვიდა. ის ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში, რომელსაც უამრავი მკაცრი სანქცია დაუწესეს. ბრალდებულია მთელ რიგ დანაშაულებში, დაწყებული ხალხის სიკვდილით დასჯით გასამართლების გარეშე, დამთავრებული — რეპრესიებითა და მუსლიმანური ეთნიკური უმცირესობის გენოციდით.

გენერალი მინ აუნ ჰლაინი რუსეთის გულმხურვალე მხარდამჭერია. ის მოსკოვს ექვსჯერ მაინც სტუმრობდა. მიანმარის მებრძოლები რეგულარულად მონაწილეობენ წვრთნებში რუსეთის ტერიტორიაზე. გადატრიალებამდე ცოტა ხნით ადრე, მინ აუნ ჰლაინთან რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ ჩაფრინდა, რის შემდეგაც ქვეყნის ჯარმა, რომელიც ძირითადად ისედაც რუსული თვითმფრინავებით, ტანკებითა და იარაღითაა დაკომპლექტებული, სურვილი გამოთქვა, მოსკოვისგან დამატებით რამდენიმე სახეობის ახალი იარაღი შეეძინა.

კუბა,
მიგელ დიას-კანელი

კომუნისტური პარტიის მდივანი მიგელ დიას-კანელი ქვეყნის პრეზიდენტი 2019 წელს გახდა. მიგელი სოციალისტური კუბის პირველი ხელმძღვანელია, რომელიც გვარად კასტრო არაა. თუმცა, სხვა მხრივ წინამორბედებისგან არაფრით განსხვავდება. 2021 წლის საპროტესტო გამოსვლებისას მან თავი წარმოაჩინა, როგორც მოსაწყენმა, სასტიკმა და ხისტმა კომუნისტმა. რეჟიმი ძველებურად ჩაგრავს ხალხს, რომელიც უკვე ნახევარი საუკუნეა შიმშილობის ზღვარზეა; ზღუდავს ადამიანის ძირითად უფლებებს, სიტყვის თავისუფლებას. ისინი, ვინც პროტესტს გამოთქვამენ, ციხეში ხვდებიან.

ბოლო ორ წელიწადში მოსკოვმა ჰავანას რამდენიმე მილიარდი დოლარის ღირებულების კრედიტი მისცა, ძირითადად რუსული იარაღის, ტანკებისა და შვეულმფრენების შესასყიდად. ამასთან, კრემლმა ჯერ კიდევ 2014 წელს ჩამოაწერა კუბას ვალის 90 პროცენტი — 32 მილიარდი დოლარი.

ნიკარაგუა,
დანიელ ორტეგა

დანიელ ორტეგას პრეზიდენტის პოსტი უკვე მესამეჯერ უჭირავს. თავისი მეუღლე, პოეტი როსარიო მურილიო პრემიერ-მინისტრად დანიშნა. ნიკარაგუის ციხეებში სტუდენტური მოძრაობების ლიდერები სხედან, პოლიტიკურ აქტივისტებსა და ასობით საზოგადო მოღვაწესთან ერთად.

ორტეგა „ამერიკული იმპერიალიზმის“ შეურიგებელი მტერი და რუსეთის, კუბის, ვენესუელის, ჩინეთის, ჩრდილოეთ კორეისა და ირანის დიდი მეგობარია. მან ძალიან მალე აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მოგვიანებით ყირიმისაც. საერთაშორისო საზოგადოების აზრით, ნიკარაგუაში მაფიოზური მმართველობაა გაბატონებული. ეს ქვეყანა სიღარიბით მესამე ადგილზეა, ვენესუელისა და ჰაიტის შემდეგ. ცოტა ხნის წინ რუსეთმა ნიკარაგუაში სამხედრო-საწვრთნელი ცენტრი ააშენა და სამხედრო-საზღვაო ბაზის შესაქმნელად ემზადება. კრემლი ორტეგას რეჟიმს ტანკებს, საზენიტო რაკეტებს, შვეულმფრენებს, საპატრულო გემებსა და სხვა იარაღს აწვდის. ბოლო პერიოდში ნიკარაგუის დედაქალაქ მანაგუაში სერგეი შოიგუ რამდენჯერმე ჩაფრინდა.

სირია,
ბაშარ ალ-ასადი

სირიის უცვლელი პრეზიდენტი 2000 წლიდან ბაშარ ალ-ასადი რუსეთსა და ირანს უნდა უმადლოდეს, რომ ცოცხალი გადარჩა.

სანამ რუსეთი სირიაში სამხედრო ოპერაციას წამოიწყებდა, ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ ბაშარ ალ-ასადს ადრე თუ გვიან ხელისუფლებას ჩამოაშორებდნენ.

ერიტრეა,
ისაიას აფავერკი

29 წელია ერიტრეას 76 წლის, პირველი და უცვლელი პრეზიდენტი მართავს. უფლებადამცველები ერიტრეას ერთ-ერთ ყველაზე ტოტალიტარულ ქვეყანას უწოდებენ. აქედან ევროპაში მუდმივად გამორბიან დევნილები. 1993 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ომის შედეგად ეს ქვეყანა ეთიოპიას გამოეყო და მის სათავეში ისაიას აფავერკი მოვიდა, აქ არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულა.

თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში ისაიას აფავერკი კრძალავდა მასმედიას (არა მხოლოდ ოპოზიციურს) და ციხეებში ყრიდა ყველას, ვინც უკმაყოფილო იყო. გაერომ არაერთხელ განაცხადა, რომ ისაიას აფავერკის ბევრი ქმედება შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც დანაშაული კაცობრიობის წინაშე.

ალექსანდრ გოსტევი

ბრიტანეთმა რუსეთს გამარჯვების დღე ახალი სანქციებით მიულოცა

ბრიტანეთმა რუსეთს ახალი სანქციები დაუწესა. ახალი იმპორტის გადასახადები მოიცავს 1.73 მილიარდი დოლარის საქონელს, მათ შორის პლატინისა და პალადიუმის, რომლებზეც რუსეთი დამოკიდებულია. გარდა ამისა, აკრძალულია 308 მილიონ დოლარზე მეტი ღირებულების ქიმიური ნივთიერებების, პლასტმასის, რეზინისა და მძიმე ტექნიკის ექსპორტი. ამ მოცულობიდან 1.4 მილიარდი იყო რუსული ექსპორტი ბრიტანეთში, რომელზეც ლონდონი ახლა დამატებით 35-პროცენტიან იმპორტის ტარიფს აწესებს.

ბრიტანეთი რუსეთში გარკვეული საქონლის ექსპორტს სრულად აკრძალავს. მთლიანობაში, როგორც ბრიტანეთის საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტმა აღნიშნა, ქვეყანამ უკვე დააწესა სანქციები რუსეთთან სავაჭრო საქონელზე, რომლის მოცულობა ოთხ მილიარდ ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელება

საქონლის ადგილწარმოშობის დასახელების „ოყურეშის უსახელოური“ ღვინის წარმოების სპეციფიკაცია

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს „უსახელოურის ვაზისა და ღვინის დაცვის ასოციაციის“ მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

განაცხადის №3512/6

განაცხადის შეტანის თარიღი: 2021.20.09

ადგილწარმოშობის დასახელება: ოყურეშის უსახელოური

საქონლის დასახელებ, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია - ღვინო

განმცხადებლის სახელი და მისამართი: უსახელოურის ვაზისა და ღვინის დაცვის ასოციაცია; ცაგერის მინიციპალიტეტი, სოფ. ოყურეში, საქართველო

1. **დასახელება:** ოყურეშის უსახელოური
2. **დამატებითი აღნიშვნები**

3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები

„ოყურეშის უსახელოური“ წითელი ღვინოა, რომელიც შაქრიანობის მიხედვით შეიძლება იყოს სამი სხვადასხვა კატეგორიის: მშრალი, ბუნებრივად ნახევრად მშრალი ან ბუნებრივად ნახევრად ტკბილი.

მისი ორგანოლეპტიკური და ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი – მუქი ალუბლისფერი;
- არომატი და გემო – კურკოვანი წითელი ხილის (ქლიავის) და წითელი მოცხარის ტონები, გემოზე სავსე, ხალისიანი მჟავიანობით და დამრგვალებული, კარგად დაბალანსებული ტანინებით;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა მშრალი ღვინისთვის არ უნდა იყოს 13,5%-ზე ნაკლები, ხოლო ნახევრად მშრალი და ნახევრად ტკბილი ღვინოებისთვის – 11,0 %-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა მშრალ ღვინოში არ უნდა აღემატებოდეს 4 გ/ლ-ს, ნახევრად მშრალ ღვინოში უნდა იყოს 4-დან – 18 გ/ლ-მდე, ხოლო ნახევრად ტკბილ ღვინოში – 18-დან 45 გ/ლ-მდე;
- ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 5 გ/ლ-ზე ნაკლები;
- აქროლადი მჟავიანობა არ უნდა აღემატებოდეს 1.2 გ/ლ-ს;
- გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 150.0 მგ/ლ-ს მშრალ ღვინოში და 200.0 მგ/ლ-ს ნახევრად მშრალსა და ნახევრად ტკბილ ღვინოებში;
- უშაქრო ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 22 გ/ლ-ზე ნაკლები.

4. წარმოების გეოგრაფიული ადგილი და ზონები

ოყურეშის უსახელოურის მიკროზონა მდებარეობს რაჭა–ლეჩხუმის რეგიონში, ცაგერის ადმინისტრაციულ მუნიციპალიტეტში. მიკროზონა მოიცავს მდ. ცხენისწყლის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროს ფერდობებზე შეფენილ სოფლებს: ზუბს, ისუნდერს, ოყურეშს, ოფიტარას, ლაძგვერიას და მახურას, ზღვის დონიდან 350–650 მ სიმაღლეზე. ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით მდ. ცხენისწყლის ტერიტორია დაცულია ხვამლის მთის მასივით, ხოლო დასავლეთიდან ხეობას იცავს ასხის მთა.

„ოყურეშის უსახელოურის“ მიკროზონის საზღვარი სოფელ ოყურეშის სამხრეთით მდ. ცხენისწყლისა და ლაშკოდიის შესართავიდან მიუყვება ჯერ აღმოსავლეთით, შემდეგ ჩრდილოეთით ზედა და ქვედა ოყურეშის გამყოფ ზოლს, ზღვის დონიდან 650 მეტრ სიმაღლის ნიშნულზე, შემდეგ უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთ ცხაკურის ტერიტორიაზე და 650 მეტრ სიმაღლეზე უერთდება ზუბი-ხვამლის გზას, რის შემდეგაც მიუყვება გზას ჯერ ჩრდილოეთით, შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით ცხენისწყლის ხიდამდე და შემდეგ კი ჩრდილოეთის მიმართულებით მდ. ცხენისწყალს მდ. კვერეშულას შესართავამდე.

შემდეგ საზღვარი გრძელდება მდ. კვერეშულას დასავლეთის მიმართულებით 650 მეტრ ნიშნულამდე, აქედან საზღვარი უხვევს სამხრეთის მიმართულებით და გადის სოფელ ზუბის, ისუნდერის, მახურის და ლაძგვერიას ტერიტორიებზე, 650 მეტრის სიმაღლის ნიშნულზე. შემდეგ საზღვარი უხვევს აღმოსავლეთით მდინარე ცხენისწყალსა და მდ. ჭეულას შესართავამდე, შემდეგ მიუყვება მდ. ჭეულას აღმოსავლეთის მიმართულებით 650 მ ნიშნულამდე, შემოუვლის სოფელ ოფიტარას აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან 650 მ სიმაღლეზე და მიდის მდ. ცხენისწყლამდე, შემდეგ მიუყვება მდ. ცხენისწყალს ჩრდილოეთის მიმართულებით მდ. ლაშკოდიას შესართავამდე.

5. ვაზის ჯიშები

ოყურეშის უსახელოური შეიძლება დამზადდეს მხოლოდ მიკროზონაში მოწეული უსახელოურის ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

6. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა

- ოყურეშის უსახელოურის მიკროზონაში ღვინო „ოყურეშის უსახელოურისათვის“ განკუთვნილი სამეწარმეო ვენახები გაშენებული უნდა იყოს ზღვის დონიდან 350-650 მეტრის სიმაღლეზე;
- ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1,3-2,35 მეტრამდე;
- ვაზთა შორის მანძილი რიგში – 0,8-1,40 მ;
- შტამბის სიმაღლე – 50-80 სმ;
- სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი.

7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება

ოყურეშის უსახელოური მზადდება მხოლოდ მწიფე ყურძნისაგან. ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს უნდა იყოს არანაკლებ 23,0 %.

- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, უჟანგი ფოლადისაგან დამზადებული ან სპეციალური საღებავით შეღებილი ძარებით;
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება;
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.

8. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი:

ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 6 ტონას.
ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:

- 650 ლიტრს – ერთი ტონა ყურძნიდან;
- 3900 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან.

9. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა:

ღვინის „ოყურეშის უსახელოური“ წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს მხოლოდ ამ მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან.

ღვინო „ოყურეშის უსახელოური“ მზადდება დურდოს სრული ან არასრული ალკოჰოლური დუღილის გზით.

ოყურეშის უსახელოურის წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის 524 ტექნიკური რეგლამენტით „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“.

ყურძნის გადამუშავება და ღვინის დამზადება დასაშვებია მხოლოდ რეგიონის ფარგლებში, ხოლო ბოთლებში ჩამოსხმა – ამ ზონის ფარგლებს გარეთაც, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

ამასთან, ყურძნის გატანა ოყურეშის უსახელოურის მიკროზონიდან რეგიონის ფარგლებში გადასამუშავებლად და ღვინის გატანა რეგიონიდან ჩამოსასხმელად დასაშვებია მხოლოდ მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის პირობებში.

ოყურეშის უსახელოურის სამომხმარებლო ბაზარზე გატანა დასაშვებია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით.

10. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის

კლიმატი

„ოყურეშის უსახელოურის“ მიკროზონა წარმოადგენს ერთგვარ ქვაბულს, რომელიც ყოველი მხრიდან შემოფარგლულია კლდოვანი ქედებით, რაც ქმნის განსაკუთრებულ მიკროკლიმატს, რომელიც ხასიათდება ნოტიო კლიმატით, ზომიერად ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით.

მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა 1900–2000 საათია. ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურაა 14,2^{0}C, ყველაზე თბილი თვის (აგვისტო) საშუალო ტემპერატურაა 22,2^{0}C, ხოლო ყველაზე ცივი თვის (იანვარი) კი არ არის +0,5^{0}C-ზე ნაკლები.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა მიკროზონაში 181 დღეა.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 3500-დან – 3700^{0}C-ს აღწევს.

მოსული ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 1095 მმ-ს უდრის.

გრანულომეტრული შედგენილობის მიხედვით, მიეკუთვნებიან მძიმე თიხნარებს და მსუბუქ თიხებს. ნიადაგები სხვადასხვა ხარისხით ხირხატიანია, ამასთან, მაღალი ხირხატიანობით ხასიათდებიან კირქვებზე განვითარებული ნიადაგები, ხოლო მცირედხირხატიანი და უხირხატო ნიადაგები გვხვდება უმეტესად მერგელებზე.

მიკროზონაში ვენახების სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის ექსპოზიცია, ნალექებთან დაბალანსებული მზიანი დღეების დიდი რაოდენობა, ივლისისა და აგვისტოს მაღალი ტემპერატურა, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში ცხელი დღეები და გრილი ღამეები ხელს უწყობენ ყურძენში შაქრების კონცენტრაციის მკვეთრ ზრდას, რაც ძალზედ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ამ ტიპის ღვინის წარმოებისათვის (ყურძენი იკრიფება არანაკლებ 23% შაქრიანობის პირობებში).

ნიადაგი

ყოველივე აღნიშნული თიხნარ და ხირხატიან ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებთან კომბინაციაში განაპირობებს ყურძნის საუკეთესო დამწიფებას, მჟავიანობის და შაქრიანობის ბალანსითა და პოლიფენოლების დაგროვებით. ანტოციანები, პოლიფენოლები და შაქარი ღვინოს ანიჭებენ დაბალანსებულობასა და კომპლექსურობას.

იხ. 6 გვ.

ლეჩხუმი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონად საქართველოში. ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მეურნეობის ეს დარგები ძველთაგანვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ მხარის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამაზე მიუთითებს ვაზის ადგილობრივი ჯიშების მრავალფე-როვნება და, აგრეთვე, მეღვინეობის იმ პროდუქტთა სიმრავლე, რომლებსაც აქაური მაცხოვრებლები ამზადებდნენ სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით.

ადამიანური ფაქტორი

ცნობილი ქართველი მეცნიერები – ნიკო კეცხოველი, მაქსიმე რამიშვილი და დიმიტრი ტაბიძე – 1960 წლის ამპელოგრაფიაში ადასტურებენ დიდი ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უსახელოური კულტურულ ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოშობის ადგილობრივი კერიდან არის წარმოშობილი, ხოლო მისი სახელი წარმოშობილია ლეჩხუმში მდ. ლაჯანურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სოფელ უსახელოდან.

უსახელოურის, ამ შესანიშნავი ნახევრად ტკბილი ღვინის, სამრეწველო მასშტაბით წარმოება შესაძლებელი გახდა 1942 წლის ცნობილი მოვლენების და ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოების წარმოების ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის შემდეგ.

ღვინო „უსახელოურს“ XX საუკუნის მეორე ნახევარში სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსზე მიღებული აქვს 5 ჯილდო, მათ შორის, 2 ოქროს მედალი[1].

სანედლეულო ბაზის სიმცირე და ღვინის დიდი პოპულარობა განაპირობებს მის გამორჩეულად მაღალ საბაზრო ღირებულებას.

11. ეტიკეტირების განსაკუთრებული წესები:

ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ღვინის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში დაიტანება:

ქართულ ენაზე – **ოყურეშის უსახელოური**
დაცული ადგილწარმოშობის დასახელება

ლათინური შრიფტით – **OKURESHIS USAKHELOURI**
Protected Designation of Origin ან/და PDO

რუსული შრიფტით –ОКУРЕШИС УСАХЕЛОУРИ
Защищенное наименование места происхождения

12. აღრიცხვა და შეტყობინება:

ღვინო „ოყურეშის უსახელოურის“ წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება სოფლის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის 2-78 ბრძანებით დამტკიცებული „მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესის“ შესაბამისად.

13. ძირითადი საკონტროლო პარამეტრები:

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ოყურეშის უსახელოურის“ წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ - ღვინის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

საკონტროლო პარამეტრები	შეფასების მეთოდები
ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვაზის ჯიში	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ ღონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთველის ჟურნალი
ყურძნის საჰექტრო მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის გადამუშავების ადგილი, გადამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადამუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები	სადეგუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევადობა	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები

14. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო:

წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

[1] **ბონდო კალანდაძე, „სამტრესტი და სამტრესტელები“, გვ. 111.**



ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚ-ᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲬᲐᲠᲛᲝᲨᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ „ᲖᲔᲒᲐᲐᲜᲘ“ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი ? საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს ა(ა)იპ - ზეგაანის მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

განაცხადის №3510/6

განაცხადის შეტანის თარიღი: 2021.26.08

ადგილწარმოშობის დასახელებაა: ზეგაანი

საქონლის დასახელებ, რომლისთვისაც მოითხოვება ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაცია - ღვინო

განმცხადებლის სახელი და მისამართი: ა(ა)იპ ზეგაანი; სოფელი ზეგაანი, გურჯაანის რაიონი, საქართველო

1. დასახელება: ზეგაანი

2. დამატებითი აღნიშვნები

3. ტიპი, ფერი და ძირითადი მოთხოვნები

ზეგაანი წითელი მშრალი ქვევრის ბიო ღვინოა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფერი – მუქი ბროწეულისფერი (მუქი წითელი);
- არომატი და გემო – გემოზე სავსე, ხავერდოვანი, მაყვლისა და შავი მოცხარის ტონები, დაბალანსებული ტანინები. დავარგებისას უვითარდება ბუკეტი სანელებლების (პილპილი, მიხაკი) და მშრალი ხილის (შავი ქლიავი) ტონებით;
- ფაქტობრივი მოცულობითი სპირტშემცველობა არ უნდა იყოს 12 %-ზე ნაკლები;
- დაყვანილი ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 24 გ/ლ-ზე ნაკლები;
- შაქრიანობა უნდა იყოს არაუმეტეს 4-გ/ლ;
- ტიტრული მჟავიანობა არ უნდა იყოს 5 გ/ლ-ზე ნაკლები;
- გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 80,0 მგ/ლ-ს;
- რკინის მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 10 მგ/ლ-ს;
- სპილენძის მასური კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს 2 მგ/ლ-ს.

4. წარმოების გეოგრაფიული არეალი და ზონები

ზეგაანის მიკროზონა მოიცავს უშუალოდ სოფელ ზეგაანს და მის სავარგულებს. იგი მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე. ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება ჭერმისხევი, აღმოსავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – სოფელი ახაშენი, სამხრეთიდან – სოფ. ახაშენი და ნავისწყლის ხევი, ხოლო დასავლეთით – გომბორის ქედი.

ზეგაანის მიკროზონას მიეკუთვნება, აგრეთვე, ფაფრის ველზე განლაგებული ნაკვეთები, რომელთა საკადასტრო კოდებია: 51.08.13.641; 51.08.63.005; 51.08.63.009; 51.08.63.010; 51.08.63.023; 51.08.63.032; 51.08.63.047; 51.08.63.055; 51.08.63.105; 51.058.63.114.

5. ვაზის ჯიშები

ზეგაანი შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ზეგაანის მიკროზონაში მოწეული საფერავის ჯიშის ყურძნისგან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.

6. ვენახის გაშენება, სხვლა-ფორმირება და მოვლა

- ზეგაანის მიკროზონაში, ღვინო „ზეგაანისთვის“ განკუთვნილი სამეწარმეო ვენახები გაშენებულ უნდა იქნეს 400-550 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან;
- ვენახის რიგთაშორის მანძილი შეიძლება იყოს 1-დან 2,4 მეტრამდე;
- ვაზთა შორის მანძილი რიგში – 1,0-1,5 მ;
- შტამბის სიმაღლე – 70-90 სმ;
- სხვლის ფორმა – ცალმხრივი ან ორმხრივი ქართული, ან თავისუფალი.

7. ყურძნის სიმწიფე, რთველი, ტრანსპორტირება

- ღვინო „ზეგაანის“ დასამზადებლად განკუთვნილი ყურძნის შაქრიანობა კრეფის დროს არ უნდა იყოს 21% -ზე ნაკლები;
- ყურძნის ტრანსპორტირება დასაშვებია მხოლოდ ხის ან პლასტმასის ყუთებით, უჟანგი ფოლადისაგან დამზადებული ან სპეციალური საღებავით შეღებილი ძარებით;
- დაუშვებელია ყურძნის ტრანსპორტირებისას პოლიეთილენის პარკების და/ან ტომრების გამოყენება;
- ტრანსპორტირებისას ყურძენი მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული შესაძლო დაბინძურებისაგან.

8. ყურძნის მოსავალი და ღვინის გამოსავალი:

ყურძნის მოსავალი 1 ჰექტარ ვენახზე არ უნდა აღემატებოდეს 10 ტონას. ღვინის გამოსავალი არ უნდა აღემატებოდეს:

- 650 ლიტრს – ერთი ტონა ყურძნიდან;
- 6500 ლიტრს – ერთი ჰა ვენახიდან.

9. ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა

ზეგაანის წარმოებისათვის განკუთვნილი ყურძენი მოწეული უნდა იყოს მხოლოდ ზეგაანის მიკროზონაში გაშენებული ვენახებიდან. ყურძნის მოკრეფიდან დაწურვამდე დრო არ უნდა აღემატებოდეს 3 საათს;

ღვინო „ზეგაანი“ მზადდება ქვევრში დურდოს სრული ალკოჰოლური დუღილის გზით;

ღვინო „ზეგაანის“ წარმოებისას დასაშვებია მხოლოდ იმ ოპერაციების, მასალებისა და ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ნებადართულია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის №524 ტექნიკური რეგლამენტით „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“;

ღვინო „ზეგაანის“ დადუღება უნდა მოხდეს ველურ საფუარზე;

ალკოჰოლური დუღილის დამთავრებისა და ჭაჭიდან მოხსნის შემდეგ ხდება ღვინის დავარგება ქვევრში, არანაკლებ 20 თვის განმავლობაში;

ზეგაანის სამომხმარებლო ბაზარზე განთავსება დასაშვებია მხოლოდ სამომხმარებლო ტარაში დაფასოებული სახით;

ყურძნის გადამუშავება, ღვინის დამზადება და ჩამოსხმა დასაშვებია მხოლოდ ზეგაანის მიკროზონის ფარგლებში.

10. კავშირი ღვინის განსაკუთრებულ ხარისხს, რეპუტაციასა და გეოგრაფიულ ადგილს შორის

კლიმატი

ზომიერად ნოტიოა, ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით. მიკროზონაში ამინდის ფორმირებას განაპირობებს სუბტროპიკულ და ზომიერ განედებში განვითარებული აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან გადმონაცვლებული ატმოსფერული პროცესები. კლიმატი ზომიერად ნოტიოა, ცხელი ზაფხულით და ზომიერად ცივი ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 12,5^{0}C-ია ყველაზე თბილი თვეების ივლისი – აგვისტო 23,7–23,5^{0}C ყველაზე ცივი თვის იანვარი კი +1,1^{0}C-ია.

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მიკროზონაში შეადგენს 4120-3440^{0}C.

ნიადაგის 5–50 სმ სიღრმის ფენაში ტემპერატურის 10^{0}C-ზე ზევით მდგრადი გადასვლა საშუალოდ აპრილის პირველ დეკადაში იწყება.

შემოდგომის პირველი წაყინვების დაწყება მიკროზონაში მოსალოდნელია ნოემბრის დასასრულს (27 ნოემბრიდან), ხოლო გაზაფხულის ბოლო წაყინვების დასრულება – 24 მარტისთვის.

საფერავი კვირტის გაშლას იწყებს აპრილის შუა რიცხვებში, მაისის ბოლოს შედის ყვავილობაში, ყურძნის ტექნიკური სიმწიფე დგება აგვისტოს მეორე ნახევარში.

ზეგაანის განედისათვის ჰორიზონტიდან მზის სიმაღლე ყურძნის მარცვლების ფორმირების პერიოდში 70-600, ხოლო ყურძნის სიმწიფის პერიოდში 50-400 ფარგლებში იცვლება, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მცირედ დახრილ (2-3^{0}C) ფერდობებზე ვაზისათვის ეფექტურ რადიაციულ რეჟიმს ქმნის.

მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა ზეგაანის მიკროზონაში 2150-2200 საათის საზღვრებში მერყეობს. სავეგეტაციო პერიოდში მზე 1600 საათის განმავლობაში ანათებს. ზეგაანში ჯამური რადიაციის წლიური მნიშვნელობა 130 კკალ/სმ^2-ზე მაღალი არ არის, სავეგეტაციო პერიოდში კი 95-100 კკალ/სმ^2-ის საზღვრებშია. პირდაპირი რადიაცია ჰორიზონტალურ ზედაპირზე წლიურად 75 კკალ/სმ^2-ია, ხოლო გაბნეული – 54 კკალ/სმ^2.

ნიადაგი

მიკროზონის ტერიტორიაზე გამოყოფილია ყავისფერი კარბონატული ნიადაგები, რომელთა აგრომახასიათებლები შესაძლებლობას იძლევა მაღალი ხარისხის ღვინის–წარმოებისათვის.

ნიადაგის პროფილის სიღრმე 80-100 სმ-ის ფარგლებშია, განვითარებულია მაღალკარბონატულ თიხნარ-კირნარ ნაფენებზე. ნიადაგის ზედა ჰორიზონტებში ჰუმუსის შემცველობა საშუალოა (4-5%), რომელიც სიღრმით მკვეთრად მცირდება 1.4-1.6%-მდე. ჰუმუსოვანი ფენის საერთო სისქე 40-50 სმ-ს შეადგენს. ნიადაგის ხსნარის რეაქცია ტუტე და ძლიერ ტუტეა (8.4-8.7). ნიადაგი მიეკუთვნება მსუბუქ თიხებს, პროფილის შუა ნაწილში თიხის დაგროვებით. ნიადაგი ზედაპირიდანვე ძლიერ კარბონატულია (11-13%), ხოლო პროფილის შუა და ქვედა ნაწილში ძალიან ძლიერ კარბონატულობა ახასიათებს (35-50%). ნიადაგი უმეტესად ზედაპირულად ხირხატიანია, სიღრმით ხირხატიანობა მცირდება და, ძირითადად, წარმოდგენილია წვრილი კენჭნარის სახით. საკვები ელემენტების შემცველობის მიხედვით, ნიადაგი ღარიბია მცენარისთვის ხელმისაწვდომი აზოტით და ფოსფორით, მაგრამ უზრუნველყოფილია კალიუმით.

მიკროზონაში ვენახები გაშენებულია კარბონატულ და თიხნარ ნიადაგებზე, რაც მეზოკლიმატთან ერთობლიობაში ძალზედ ხელსაყრელია მევენახეობისთვის და ანიჭებს ღვინოს განსაკუთრებულ გემოსა და კომპლექსურობას. შემოდგომის თბილი დღეები და გრილი ღამეები ხელს უწყობს შაქრების კონცენტრაციის მკვეთრ ზრდას.

სავეგეტაციო პერიოდში მზის ნათების მნიშვნელოვანი ხანგრძლივობა (1600 დღე) და აქტიურ ტემპერატურათა ჯამის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (4000 გრ.-ზე მეტი) უზრუნველყოფს კლერტის კარგად მომწიფებას, რაც ასე მნიშვნელოვანია ამ ტიპის ღვინოებისათვის.

ადამიანური ფაქტორი

ზეგაანის მიკროზონაში მევენახეობა-მეღვინეობას უხსოვარი დროიდან მისდევდნენ. XIX საუკუნის დასაწყისში აქ დაწინაურდა ალექსანდრე ჭავჭავაძის მამული, რომელიც გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებით და მოწინავე ტექნოლოგიებით.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბატონყმობის გაუქმებამ მძლავრი ბიძგი მისცა დარგის და, ზოგადად, ეკონომიკის განვითარებას. კახეთის მხარე სწრაფად ჩაება საერთო კაპიტალისტური ურთიერთობის ფერხულში, დაიწყო კაპიტალისტურ-ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესი.

ეს პროცესები მევენახეობა-მეღვინეობისთვის უფრო მეტად ხელშესახები გახდა 1880-იანი წლებიდან, როდესაც საუფლისწულო მამულების დეპარტამენტმა მასიურად შეისყიდა კახელი თავადების მამულები, მათ შორის, მუკუზანსა და ზეგანში და სწრაფი ტემპებით დაიწყო ვენახებისა და მარნების მოდერნიზება.

ეს პროცესები კიდევ უფრო გაძლიერდა 1920-იანი წლებიდან, როდესაც ფუნქციონირება დაიწყეს საქართველოს სამეცნიერო ცენტრებმა თბილისსა და თელავში – დაიწყო ახალი ვენახების გაშენება ნამყენი ნერგით, ზეგაანში აიგო თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ღვინის ქარხანა, დაინერგა ახალი ტექნოლოგიები.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, დარგში საქმიანობდნენ, ეწეოდნენ სამეცნიერო საქმიანობას, შეიმუშავებდნენ და სრულყოფდნენ ახალ ტექნოლოგიებს, ნერგავდნენ მათ წარმოებაში და ქმნიდნენ ახალ ღვინოებს ისეთი გამოჩენილი პროფესიონალები[1], როგორიც იყვნენ - გ. გოგოლ-იანოვსკი, მერლ ანტუან მასონო, ვლადიმერ სტაროსელსკი, ოვჩარენკო, ა.თუშმალიშვილი, ზ. ჯორჯაძე, ა. ეგოროვი, ს. ჩოლოყაშვილი, კ. მოდებაძე, გ. ბერიძე, გ. ზარდიაშვილი, მ. ვარდანაშვილი, ვ. შავგულიძე და სხვები.

ამრიგად, ზეგაანის მიკროზონის გეოგრაფიული მდებარეობა, რეგიონისთვის დამახასიათებელი კლიმატი: ზომიერად თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული, ატმოსფერული ნალექების ზომიერი რაოდენობა, შესაბამისი ნიადაგები, საფერავის ჯიშის ამ ზონისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული მახასიათებლები და მევენახეობა-მეღვინეობის ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია განაპირობებს ღვინო „ზეგაანის“ განუმეორებელ, მხოლოდ ამ ღვინისთვის დამახასიათებელ ორგანოლეპტიკურ თვისებებს.

---

1 ბონდო კალანდაძე - „ქართული ღვინის ისტორია“, გვ. 50.

იხ. 8 გვ.

11. ეტიკეტირების განსაკუთრებული წესები:

ეტიკეტზე, შეფუთვაზე, ღვინის თანმხლებ დოკუმენტებში და სარეკლამო მასალებში დაიტანება:

ქართულად – **ზეგაანი**
დაცული ადგილწარმოშობის დასახელება

ლათინური შრიფტით – **ZEGAANI**
Protected Designation of Origin ან/და PDO

რუსული შრიფტით – **ЗЕГААНИ**
Защищенное наименование места происхождения

12. აღრიცხვა და შეტყობინება

ღვინო „ზეგაანის“ წარმოების და შენახვის ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვა და შეტყობინება ხორციელდება სოფლის მინისტრის 2019 წლის 24 იანვრის 2-78 ბრძანებით დამტკიცებული „მევენახეობა-მეღვინეობის პრაქტიკაში ტექნოლოგიური პროცესების აღრიცხვისა და შეტყობინების წესის“ შესაბამისად.

13. ძირითადი საკონტროლო პარამეტრები

დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო „ზეგაანის“ წარმოების პროცესის გაკონტროლების დროს მწარმოებელმა სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს უნდა დაუდასტუროს შემდეგი პარამეტრების შესაბამისობა:

საკონტროლო პარამეტრები	შეფასების მეთოდები
ვენახის ადგილმდებარეობა	საკადასტრო რუკა, შემოწმება ადგილზე
ფართობი	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, კადასტრი
ვაზის ჯიში	ვენახის აღრიცხვის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
კულტივირების მეთოდები	აგროტექნიკურ ღონისძიებათა რეგისტრაციის ჟურნალი, წამლობის ჟურნალი, შემოწმება ადგილზე
მოსავლის აღება და ტრანსპორტირება	რთველის ჟურნალი
ყურძნის საჰექტრო მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის მთლიანი მოსავალი	რთველის ჟურნალი
ყურძნის გადამუშავების ადგილი, გადამუშავება და ღვინის დამზადება	ყურძნის მიღების ჟურნალი, ყურძნის გადამუშავების ჟურნალი, პროდუქციის ბრუნვის აღრიცხვის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები, შეტყობინებები, შემოწმება ადგილზე
ღვინის ჩამოსხმის, შეფუთვის და შენახვის ადგილი და პირობები	ჩამოსხმის ჟურნალი, მზა ნაწარმის საწყობში პროდუქციის მოძრაობის ჟურნალი, ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ფიზიკო-ქიმიური მახასიათებლები ღვინის წარმოების პროცესში, ჩამოსხმამდე და ჩამოსხმის შემდეგ	ლაბორატორიული ანალიზების ჟურნალები
ღვინის ორგანოლეპტიკური მახასიათებლები	სადეგუსტაციო კომისიის ოქმები
მიკვლევადობა	ტექნოლოგიური და ლაბორატორიული ჩანაწერები

14. წარმოების მაკონტროლებელი ორგანო:

წარმოების სპეციფიკაციის დაცვასა და ადგილწარმოშობის დასახელების მართებულად გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ახორციელებს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო.



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ

6-ᲗᲕᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲣᲚᲘ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲔᲡᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲐ

ᲓᲔᲓᲘᲡᲐ და ახალშობილისკენ უნდა მოვტრიალდეთ, როგორც უფლებრივ, ასევე მორალურ-ზნეობრივ და ბიოეთიკურ ნაწილში. კომიტეტის არცერთი წევრი არ არის, ამაზე თანხმობა რომ არ ჰქონდეს, – ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლადო კახაძემ „იმედის კვირას“ დეკრეტული შვებულების ანაზღაურების წესზე საუბრისას განუცხადა. კახაძის თქმით, მათი სურვილია დეკრეტული შვებულების ანაზღაურების ფორმა შეცვალონ ან ამ მიზნით ფულადი დახმარების მოცულობა გაზარდონ, რაზეც კომიტეტში მსჯელობა მიდის.

„ყველაზე საუკეთესო ვარიანტი იქნება, საჯარო სამსახურში დასაქმებულთა დონეზე რომ მოხდეს მათი სადეკრეტო ანაზღაურების გაცემა. ამისკენ მივისწრაფვით, მაგრამ ეს კეთილი ნების საკითხი არ არის, ეს ფინანსურ უზრუნველყოფას ითხოვს. უნდა მოიძებნოს რესურსი. ვიცი, რომ ამ მიზნით მზაობა ფინანსთა სამინისტროს მხრიდანაცაა“, – განაცხადა კახაძემ. 2014 წლამდე დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა 4 თვე იყო. 2014 წელს განხორციელებული ცვლილებებით კი მისი ხანგრძლივობა, მათ შორის – ანაზღაურებადის, 6 თვემდე გაიზარდა. ამ კუთხით 2020 წელს მნიშვნელოვნად დაიხვეწა შრომის კოდექსიც.

მასწავლებლებმა პეტიცია შეიმუშავეს. ისინი შრომის კოდექსის იმ ნორმების გაუქმებას ითხოვენ, რომლის მიხედვითაც 6-თვიანი დეკრეტული ანაზღაურების გაცემა და მისი ოდენობაც დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. უმეტეს შემთხვევაში, პედაგოგები სახელმწიფოსგან მხოლოდ 1 000-ლარიან დახმარებას იღებენ, ხოლო ვერ იღებენ 6-თვიან დეკრეტულ ანაზღაურებას დამსაქმებლისგან. ვიდრე კანონმდებლები კონკრეტულ სისტემაზე შეჯერდებიან, საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა ომბუდსმენის აპარატმა. სახალხო დამცველი შრომის კოდექსის 39-ე მუხლის იმ ნორმების გაუქმებას ითხოვს, რომელიც სიპებში დასაქმებულებისა და პედაგოგების 6-თვიანი დეკრეტული ანაზღაურების გარეშე დატოვების საშუალებას იძლევა.

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐ ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ საშუალების სანომრე ნიშნის შენახვის წესის შეცვლა იგეგმება. შესაბამისი ცვლილებების ინიცირება ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მოხდა. კანონპროექტის ინიციატორები დეპუტატები – ანრი ოხანაშვილი, დავით მათიკაშვილი, ირაკლი შატაკიშვილი, რატი იონათამიშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ნინო იობაშვილი, გიორგი ამილახვარი, ალექსანდრე ტაბატაძე და ალუდა ღუდუშაური არიან.

მათი განმარტებით, დღეს მოქმედი მოდელი ითვალისწინებს ე.წ. ფასიანი ნომრების ფიზიკურად შენახვას, რაც მომსახურების სააგენტოს მიერ სათანადო ფართის გამოყოფას მოითხოვს და მომხმარებლისთვის გარკვეულ დაბრკოლებებს იწვევს, ვინაიდან შენახული ნომრის აღება პირს შეუძლია მომსახურების სააგენტოს მხოლოდ იმ სტრუქტურულ ერთეულში, რომელშიც მან ნომერი ჩააბარა.

დეპუტატების ცნობით, ნომრის მოძებნა დროში ჭიანურდება და ხშირად ხდება შენახული ნომრის დაზიანებაც. კანონპროექტის თანახმად, შესაძლებელი იქნება ნომრის შენახვა არა ფიზიკურად, არამედ „ვირტუალურად“. კანონმდებლები ვარაუდობენ, რომ ამ ცვლილების შედეგად, მომხმარებელი შეძლებს, მომსახურების სააგენტოს ნებისმიერ სტრუქტურულ ერთეულში მცირე დროში დაიბრუნოს თავისი სატრანსპორტო საშუალების სანომრე ნიშანი. ამასთან, ცვლილებებით, მომსახურების სააგენტო სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშანს შვიდი თვის ნაცვლად ერთ წლამდე ვადით შეინახავს.

კანონპროექტით, აღნიშნული მომსახურების საფასური ავტომობილის შემთხვევაში შეადგენს 35 ლარს, ხოლო მოტოციკლის, კვადროციკლის, ტრიციკლის, მოპედის, მსუბუქი კვადროციკლის შემთხვევაში მომსახურების საფასური განისაზღვრება 25 ლარით.

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ - ᲡᲐᲛ ᲓᲦᲔᲨᲘ!

ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ სააგენტოს მიერ ცნობების გაცემის ვადა ხუთი სამუშაო დღიდან სამ სამუშაო დღემდე მცირდება.

ინიციატორების განმარტებით, დაჩქარებული მომსახურების გაწევის სახედ მხოლოდ ერთ სამუშაო დღეში ცნობის გაცემა დარჩება. მათი ინფორმაციით, მომსახურების სააგენტოს მიერ გასაწევ მომსახურებებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად მომსახურებას განეკუთვნება ცნობების გაცემა, რაც ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში ხორციელდება, ხოლო დაჩქარებული მომსახურების გაწევის ვადა სამი ან ერთი სამუშაო დღეა.

ეს ცნობებია – ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ, პირის მსჯავრდების შესახებ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის შესახებ, სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობები. რაც შეეხება მომსახურების ღირებულებას, დღეს მოქმედი კანონით, ნასამართლობის, პირის მსჯავრდების და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების ხუთ სამუშაო დღეში გაცემა არის უფასო, ხოლო მათი სამ სამუშაო დღეში გაცემის, როგორც დაჩქარებული მომსახურების გაწევის, საფასურია 15 ლარი. ცვლილებებით, ცნობები ხუთი სამუშაო დღის ნაცვლად, გაიცემა სამ სამუშაო დღეში და მათი ღირებულება განისაზღვრება 20 ლარის ოდენობით. ერთ სამუშაო დღეში, როგორც დაჩქარებული მომსახურების გაწევის საფასური კი 25 ლარიდან 20 ლარამდე შემცირდება.

№59. ოთხშაბათი, 11 მაისი, 2022 წელი.

ერთგულებით და სიყვარულით გამორჩეული

ბატონო ჯემალ,

გილოცავთ 80 წლის იუბილეს, ღირსეულ მამულიშვილს, უაღრესი წესიერებით, ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით, სიკეთით, მეგობრობით, ერთგულებით და სიყვარულით აღსავსე, გამორჩეულ პიროვნებას, უძვირფასესს თანამოსაყდრე ქალბატონ ნუნუსთან, სამ შვილთან და ექვს შვილიშვილთან, ყველა ახლობელთან ერთად. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, თქვენი საყვარელი სამშობლოს გაერთიანებას და გაბრწყინებას.

არ არის შურის მძევალი,
სიმართლეს იცავს კაცურად,
კუხალაშვილი ჯემალი,
კვლავ მრავალ მორევს გაცურავს.

გვამხნევებენ წარსულიდან

ვუძღვნი ჯემალ კუხალაშვილს

ფიქრებს ვქარგავ გობელენად,
მზემ გადაჰკრა სახრე ბურანს,
ქრისტე მხსნელად მოგვევლინა,
დრო წლებს ითვლის ახლებურად.

ტაძარს ვაგებ ქრისტიანი,
მომიხნავს და მითესია,
მე არ მიყვარს ხმლის ტრიალი,
„არა კაც ჰკლა“ ღვთის წესია.

ითვლის მრავალ საუკუნეს,
რაც ქართველებს ერი გვქვია,
სამების ზარს აგუგუნებს,
რწმენა სულის რელიკვია.

წმინდა ჯვარი ვინც აღმართა,
ხალიჩებს არ გვიღერებდა,
თავდადება წინაპართა,
ერში დარჩა სიმღერებად...

კვლავ ამაყად დგანან მთები,
ასხთან ჩვენი სოფელია,
მამა-პაპის ანათლები,
რწმენის მადლი მოჰფენია.

„მაღლა ზევით ასხის მთაო,
ქვეშ მცხოვრები ზუმისაო,
ასი წლის წინ მოვლენილა
კვერეშულას წარღვნის ზღვაო!“

დაიწმინდა ცხენისწყალი,
ერთად დავდგეთ ძმას ვუთხარი,
სხვის სიყვარულს ვერ ისწავლი,
თუ არ გიყვარს საკუთარი!

ჩემი გული საამოდ ძგერს,
აქ მართლა ღირს დარჩენა,
ერთხელ კიდევ გამაოცეს ,
რაჩხის თეთრმა ჩანჩქერმა.

თქვენ მოგყვებით, აღმართებო!
დაკიდული ბილიკებით,
ხვამლის მშვენიერო მთებო,
ჩემთვის უფრო თბილი ხდებით.

წავიმძღვაროთ წინ ლამპარი,
ღვინო კაცთა სასმელია,
გავიხსენოთ დიდი მეფე,
გელათში რომ ასვენია.

წინაპარი მადლიანი,
მტერს ებრძოდა, ვაზს უვლიდა,
დავითი და დიდი ცოტნე,
გვამხნევებენ წარსულიდან...

ეს ცხოვრება კვლავ გახსოვდეს,
დღის და ღამის ჭიდილია,
არ მოგშლოდეს არასოდეს,
მზის და ზეცის იდილია.

მეგობრების სახელით

იუზა ჩაკვეტაძე

„ცისკარი“ – კულტურის სამინისტროს დაფინანსებით

კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, ჟურნალ „ცისკარის“ ახალი ნომერი გამოვიდა, – ამის შესახებ აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფომაციაში.

„საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და პერიოდული ლიტერატურული გამოცემების ხელშეწყობის მიზნით, ლიტერატურულ ჟურნალ „ცისკარის“ გამოცემას აფინანსებს. აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში ლიტერატურული ჟურნალის გამოცემის მიზნით, კონკურსს აცხადებდა სსიპ მწერალთა სახლი, თუმცა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ამიერიდან მოცემული ლიტერატურული პერიოდული ჟურნალი უშუალოდ სამინისტროს მიერ პირდაპირი დაფინანსებით გამოიცემა.

ჟურნალის ერთი ნომრის გამოსაცემად სამინისტრომ გამოყო 8 870 ლარი, განსხვავებით წინა წლებისგან, როდესაც ამისთვის საშუალოდ 7 000 ლარი იყო გამოყოფილი.

სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა და დაინტერესებულ მკითხველს უკვე შეუძლია შეიძინოს ჟურნალის 2022 წლის პირველი ნომერი. ჟურნალის საიუბილეო, 170 წლის თარიღისადმი მიძღვნილ ნომერში მკითხველი გაეცნობა ვახტანგ გურულის საინტერესო სტატიას, რომელიც ეძღვნება ილია ჭავჭავაძის 185 წლის იუბილეს, სადაც გაანალიზებულია ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი ეროვნულობასა და პარტიულობის შესახებ. ჟურნალში ასევე დაბეჭდილია როინ აბუსელიძის ლექსები, ნათია კაპანაძისა და ნინო დიღმელაშვილის მოთხრობები. კრიტიკა-ესეისტიკის განყოფილებაში გაეცნობით ნინო დარბაისელი-სტრონის საინტერესო მოსაზრებას პაოლო იაშვილის „დარიანულის“ შესახებ. ნინო სადღობელაშვილის წერილი ეძღვნება ახლად გარდაცვლილი პოეტის, კრიტიკოს-ესეისტისა და გამორჩეული პიროვნების ნუგზარ ზაზანაშვილის ხსოვნას. ამავე რუბრიკაშია დაბეჭდილი გურო დავითლიძის „ორიოდ სიტყვა გურამ რჩეულიშვილზე“. დრამატურგიის რუბრიკითაა გამოქვეყნებული გიორგი შერვაშიძის პიესა „ასი ათას ერთი“. ასევე მკითხველი გაეცნობა ახალ თარგმანს – ირვინ შოუს „ღმერთი აქ იყო, მაგრამ ადრე დაგვტოვა“...

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია!

მილიარდობით წლის განმავლობაში მთვარე დედამიწას წყალს მალულად ჰპარავდა!..

ცნობილია, რომ მთვარეზე წყლის მოლეკულები და ყინულია, მაგრამ საიდან აღმოჩნდა ის იქ? წყლის გარკვეული ნაწილი შეიძლება ასტეროიდებისა და კომეტების შეჯახებათა შედეგად მოხვდა, მაგრამ ახალი კვლევა წყლის იქ არსებობის სხვა წყაროზეც მიუთითებს – დედამიწის ატმოსფეროზე.

მეცნიერთა განცხადებით, ჩვენი ატმოსფეროს ზედა ნაწილიდან გაქცეულ და შემდეგ შეერთებულ წყალბადისა და ჟანგბადის იონებს შეიძლება წარმოექმნა 3500 კუბური კილომეტრის ფართობის ზედაპირის გაყინული ქანი, ან ზედაპირქვეშა თხევადი წყალი.

მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ მთვარის ზედაპირზე წყალბადისა და ჟანგბადის იონები მაშინ ხვდება, როდესაც მთვარე დედამიწის მაგნიტოსფეროს „კუდში“ გაივლის; ეს გახლავთ წვეთის მსგავსი ბუშტი დედამიწის გარშემო, რომელზეც გავლენას ახდენს მისი მაგნიტური ველი. მოვლენა მთვარის ყოველ თვეში, ხუთი დღის განმავლობაში ხდება. ვინაიდან ამ ბუშტს მზის ქარი ურტყამს, დედამიწის მაგნიტური ველის ხაზების გარკვეული ნაწილი იმსხვრევა და რჩება პლანეტის მხოლოდ ერთ ბოლოზე მიბმული.

როდესაც მთვარე დედამიწის მაგნიტოსფეროს ამ კუდთან ურთიერთმოქმედებს, ზოგიერთი ეს დამსხვრეული შეერთება აღდგება, რაც დედამიწის ატმოსფეროდან იქამდე გაქცეული წყალბადისა და ჟანგბადის იონებს უცაბედად კვლავ მისკენ დაბრუნებას აიძულებს.

„დაახლოებით ისეა, მთვარე რომ წვიმაში მოხვდეს – უკან, დედამიწისკენ მომავალ წყლის იონთა წვიმაში, რომლებიც მთვარის ზედაპირზე ცვივა“, – ამბობს ფერბენკსის ალასკის უნივერსიტეტის გეოფიზიკოსი გიუნტერ კლეტეშკა. მთვარეს მაგნიტოსფერო არ აქვს და შესაბამისად, როცა იონები მის ზედაპირზე ცვივა, მკვლევართა ვარაუდით, წარმოიქმნება მრავალწლოვანი მზრალობა. ამ გაყინული ქანის გარკვეული ნაწილი, სხვადასხვა გეოლოგიურ პროცესთა მეშვეობით შეიძლება ზედაპირქვეშ ხვდებოდეს და თხევად წყლად გადაიქცეოდეს.

მკვლევართა ვარაუდით, კოსმოსური ნამტვრევებით გვიანდელი მძიმე ბომბარდირების პერიოდში, ეს იონები მილიარდობით წლის განმავლობაში ნელა აკუმულირდებოდა; ეს ის პერიოდია, როცა ადრეული დედამიწა და მთვარე კოსმოსში მოხეტიალე სხვა ციური სხეულებით მძიმედ იბომბებოდა.

მთვარის გარშემო მოძრავი NASA-ს თანამგზავრის, Lunar reconnaissance-ის გრავიტაციული მონაცემების გამოყენებით, მეცნიერებმა დეტალურად დაათვალიერეს მთვარის პოლარული რეგიონები და რამდენიმე დიდი კრატერი. ჯგუფმა შენიშნა ანომალიები, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს მუდმივად გაყინული ქანების დამჭერ ნაპრალებზე. **„კრატერული დარტყმები, სტრუქტურული გაფართოებებისა და ნაპრალების ფორმირება, ზედაპირქვეშა თხევადი წყლის დიდი რეზერვუარების არსებობისთვის შესაფერის ფოროვანი სივრცის ძსელებს ქმნის. გათვლები მიუთითებს, რომ გასული 3,5 მილიარდი წლის განმავლობაში, ამ გზით, მთვარის ზედაპირქვეშ უნდა აკუმულირებულიყო რამდენიმე ათასი კვადრატული კილომეტრის წყლის ფაზა“,** – წერენ მკვლევრები. მართალია, დიდი ალბათობით მთვარეზე წყალი რამდენიმე სხვადასხვა წყაროდან მოხვდა, მათ შორის მზის ქარების მიერ გამოწვეული წყალბადისა და ჟანგბადის რეაქციებით, მაგრამ მეცნიერთა აზრით, წყლის დიდი ნაწილი იქ შეიძლება ამ გზითაც მოხვედრილიყო. წყლის ეს ოდენობა საკმარისი იქნებოდა ჩრდილოეთ ამერიკის ჰურონის ტბის ასავსებად. კრატერებისა და ქანების ნაპრალების საფარი წყალს კარგად იცავს უკან, კოსმოსში აორთქლებისგან.

ნასა მთვარეზე ადამიანთა გრძელვადიანი ბაზის შექმნას ფიქრობს. ამისათვის კი აუცილებელი იქნება მთვარის სადგური ახლომდებარე წყლის წყაროთი. ეს უახლესი კვლევა ექსპერტებს შეიძლება სადგურის ადგილმდებარეობის შერჩევაში დაეხმაროს.

კვლევა Science Reports-ში გამოქვეყნდა. მომზადებულია uaf.edu-სა და ScienceAlert-ის მიხედვით.

მიხეილ ჭაბუკაშვილი

მოწვევა წინადადებების წარსადგენად!

თარიღი:	2022 წლის 11 მაისი
სესხის N და დასახელება:	3524-GEO: შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტი
კონტრაქტის N და დასახელება:	SRIP/CW/ICB-02-Rebid: ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელ-მწიფოებრივი გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620 კმ 50+244) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოები
წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა:	თარიღი: 2022 წლის 22 ივნისი დრო: 15:00 სთ ადგილობრივი დროით

1. საქართველომ მიიღო დაფინანსება აზიის განვითარების ბანკისგან (ADB) შიდასახელმწიფოებრივი გზების გაუმჯობესების პროექტის განხორციელების მიზნით. აღნიშნული სახსრების ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოაღნიშნული კონტრაქტის დასაფინანსებლად. ტენდერი ღიაა აზიის განვითარების ბანკის წევრი ქვეყნების უფლებამოსილი მონაწილეებისათვის.

2. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი („შემსყიდველი“) იწვევს უფლებამოსილ მონაწილეებს დალუქული სატენდერო წინადადებების წარმოსადგენად ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწიფოებრივი გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620-დან 50+244 კმ მდე) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების **შესყიდვის მიზნით** (სარეაბილიტაციო სამუშაოების ხანგრძლივობა 30 თვე).

3. საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობა (ტენდერი) წარიმართება აზიის განვითარების ბანკის ერთეტაპიანი, ერთი კონვერტის პრინციპის სატენდერო პროცედურით და ღიაა ყველა უფლებამოსილი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილესათვის, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაშია აღნიშნული.

4. ტენდერში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ უფლებამოსილ მონაწილეებს, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებს (უნდა იყოს თუ არა მონაწილე ერთობლივი საწარმო, ან როგორ იქნება გამოყენებული ქვემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დეტალურად არის მოცემული სატენდერო დოკუმენტაციაში):

მიმდინარე სასამართლო დავები: ყველა მიმდინარე სასამართლო დავა და განხილვები არბიტრაჟში (მათი არსებობის შემთხვევაში) ჩაითვლება ტენდერში მონაწილის წინააღმდეგ გადაწყვეტილად და საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ტენდერში მონაწილის წმინდა მოგების 50 პროცენტს, რაც წარმოადგენს სხვაობას ჯამურ აქტივებსა და ჯამურ ვალდებულებებს შორის.

ფინანსური სიტუაცია:
- ტენდერში მონაწილის გასული წლის წმინდა მოგება უნდა იყოს დადებითი; წმინდა მოგების წარმოადგენს სხვაობას ჯამურ აქტივებსა და ჯამურ ვალდებულებებს შორის;
- მინიმალური საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს 18,000,000 აშშ დოლარზე ნაკლები. საშუალო ბრუნვა შეადგენს მიმდინარე და დასრულებული კონტრაქტების ფარგლებში მიღებული დადასტურებული გადახდების ჯამს; და
- ტენდერში მონაწილემ უნდა დაადასტუროს რომ მისი თავისუფალი ფინანსურ რესურსები შეადგენს არანაკლებ 3,000,000 აშშ დოლარს, რაც გაანგარიშდება მისი ფინანსური რესურსებისთვის მისი მიმდინარე საკონტრაქტო ფინანსური ვალდებულებების გამოკლების გზით.

საკონტრაქტო გამოცდილება: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არსებული სამუშაოების მსგავსი მინიმუმ ერთი კონტრაქტის წარმატებით ან არსებითად დასრულების გამოცდილება ღირებულებით 14,400,000 აშშ დოლარი. მსგავსება უნდა ეფუძნებოდეს სამუშაოების ფიზიკურ მოცულობას, ხასიათს, სირთულეს, მეთოდებს, ტექნოლოგიას და სხვა მახასიათებლებს, რომლებიც მოცემულია დამკვეთის მოთხოვნებში;

სამშენებლო გამოცდილება შემდეგი სამუშაოების შესრულებაში:
ტენდერში მონაწილეს უნდა ჰქონდეს მინიმუმ შემდეგი სამუშაოების შესრულების გამოცდილება:
- ასფალტ-ბეტონის საფარიანი მინიმუმ 10 კმ 2 ზოლიანი ან ეკვივალენტური გზის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება ნებისმიერ ერთ წელიწადში ბოლო 5 წლის განმავლობაში და
- საგზაო ხიდების მშენებლობის გამოცდილება საერთო ფართობით 2,000 მ^2 ერთ წელიწადში;

5. შემდგომი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

ლევან კუპატაშვილს
მისამართი: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. 12
ტელ: (+995 32) 2 37 05 08
ფაქსი: (+995 32) 2 37 66 03
ელ. ფოსტა: info@georoad.ge

6. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად ინგლისურ ენაზე გთხოვთ მოგვმართოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე: ინფო გეოროად.გე და მოითხოვოთ სატენდერო დოკუმენტაცია „ძირულა-ხარაგაული-მოლითი-პონა-ჩუმათელეთის შიდასახელმწი-ფოებრივი გზის, მოლითი-ჩუმათელეთის მონაკვეთის (კმ 24+620-დან 50+244 კმ მდე) დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის“.

7. თქვენი სატენდერო დოკუმენტაცია წარმოადგინეთ:
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, მე-4 სართული, კანცელარია.
- სატენდერო წინადადებების წარმოდგენილი უნდა იქნეს არაუგვიანეს **2022 წლის 22 ივნისის 15:00 საათამდე (თბილისის დრო);**
- სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების გარანტია, როგორც ეს სატენდერო დოკუმენტაციაში არის მოცემული.

8. სატენდერო წინადადებები გახსნა განხორციელდება სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადის გასვლისთანავე **2022 წლის 22 ივნისის 15:00 საათზე (თბილისის დრო)** იმ მონაწილეების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ დაესწრონ გახსნის პროცედურას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

საქართველო, თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი 12
მე-3 სართულის საკონფერენციო დარბაზი

Invitation for Bids

Date:	May 11, 2022
Loan No. and Title:	3524-GEO: Secondary Road Improvement Project
Contract No. and Title:	SRIP/CW/ICB-02-Rebid: Remaining Works for Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244
Deadline for Submission of Bids:	Date: **June 22, 2022** Time: 15:00 hours local time

1. Georgia has received financing from the Asian Development Bank toward the cost of Secondary Road Improvement Project. Part of this financing will be used for payments under the Contract named above. Bidding is open to bidders from eligible source countries of the ADB.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (“the Employer”) invites sealed bids from eligible Bidders for the Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from km 24+620 to km 50+244 Construction period is thirty (30) months.

2. International competitive bidding will be conducted in accordance with ADB’s Single-Stage One Envelope bidding procedure and is open to all Bidders from eligible countries as described in the Bidding Document.

3. Only eligible Bidders with the following key qualifications should participate in this bidding (should a Bidder be a Joint Venture, the way how the below mentioned criteria will be applied is further detailed in the Bidding Documents):

Pending Litigation: All pending litigation and arbitration, if any, shall be treated as resolved against the Bidder and so shall in total not represent more than fifty (50) percent of the Bidder’s net worth calculated as the difference between total assets and total liabilities.

Financial Situation:
- The Bidder’s net worth for the last year calculated as the difference between total assets and total liabilities should be positive;
- Its minimum average annual construction turnover within the last Three (3) years must not be less than USD 18,000,000 (Eighteen Million United States Dollars) calculated as total certified payments received for contracts in progress or completed; and
- Bidder must demonstrate that its financial resources less its financial obligations for its current contract commitments are not less than USD 3,000,000 (Three Million United States Dollars).

Construction Experience:
Participation in at least **one contract** that have been successfully or substantially completed within the last five (5) years and that are similar to the proposed works, where the value of the Bidder’s participation exceeds USD 14,400,000 (Fourteen Million and Four Hundred Thousand US Dollars). The similarity of the Bidder’s participation shall be based on the physical size, nature of works, complexity, methods, technology or other characteristics as described in the Employer’s Requirements.

Construction experience in the following key activities:
Minimum construction experience in the following key activities:
- Construction/Rehabilitation of at least 10 km of 2 lane or equivalent road with Asphalt-concrete surface in any one year; and
- Construction of road bridges with a total combined bridge deck area of at least 2,000 m2 in one year.

4. To obtain further information and inspect the bidding documents, Bidders should contact:
Mr. Levan Kupatashvili
Address: 12, Al. Kazbegi Ave. 0160 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 37 05 08 ext.311
Fax: (+995 32) 2 37 66 03
Email: info@georoad.ge

5. To obtain the bidding documents in English, eligible bidders should
- Send an e-mail to info@georoad.ge requesting the Bidding Documents for **Remaining Works for Rehabilitation of Dzirula – Kharagauli – Moliti – Pona – Chumateleti Secondary Road, Moliti-Chumateleti Road Section from Km 24+620 to km 50+244**

6. Deliver your bid
- to the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia. Street address: Al. Kazbegi Avenue #12. Floor/Room number: IV Floor, Chancellery;
- on or before the deadline: Date: **June 22, 2022, 15:00 hours** (local time);
- together with a Bid Security as described in the Bidding Document.

Bids will be opened on **June 22, 2022 15:00 hours** (local time) in the presence of Bidders’ representatives who choose to attend at the address below:

Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Street address: 12 Al. Kazbegi Avenue
Floor/Room number: III Floor, Conference Hall
City: 0160 Tbilisi
Country: Georgia

Asian Development Bank

სანთელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, პროფესორ გიორგი აბრამიშვილს გარდაეცვალა ძმა

მალხაზ აბრამიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვლადიმერ პუტინი: რუსეთმა წინმსწრები პასუხი გასცა აგრესიას, ეს იყო იძულებითი, დროული და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება

მოსკოვში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების აღსანიშნავად ტრადიციული აღლუმი გაიმართა. წითელ მოედანზე შეკრებილ სამხედროებს და მაღალჩინოსნებს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სიტყვით გამოსვლისას მთავარი აქცენტი გააკეთა უკრაინაზე და მიმდინარე ომს სპეციალური სამხედრო ოპერაცია უწოდა.

მისი თქმით, რუსი სამხედროები უკრაინაში დონბასელი ხალხისთვის იბრძვიან. ვლადიმერ პუტინმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

„შარშან დეკემბერში ჩვენ გამოვედით წინადადებით, შეთანხმდეთ უსაფრთხოების გარანტიებზე. რუსეთმა მოუწოდა დასავლეთს პატიოსანი დიალოგისკენ და გონივრული, კომპრომისული გადაწყვეტილებების ძიებისკენ, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებისკენ. ყველაფერი სულ ტყუილად. ნატოს ქვეყნებმა არ მოინდომეს ჩვენი გაგება, ეს კი ნიშნავს, რომ მათ სულ სხვა გეგმები ჰქონდათ. და ჩვენ ეს დავინახეთ. ღიად მიმდინარეობდა მორიგი სადამსჯელო ოპერაციისთვის მზადება დონბასში და ჩვენს ისტორიულ მიწებზე შეჭრისთვის, მათ შორის ყირიმში. კიევში საუბრობდნენ ბირთვული იარაღის შექმნაზე. ნატომ დაიწყო მის საზღვრებთან მდებარე ტერიტორიების აქტიური ათვისება.

რუსეთმა წინმსწრები პასუხი გასცა აგრესიას. ეს იყო იძულებითი, დროული და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. ეს იყო ძლიერი, სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყნის გადაწყვეტილება. დღეს, დონბასელი მებრძოლები რუსეთის არმიასთან ერთად, საკუთარ მიწაზე იბრძვიან. ახლა მოგმართავთ თქვენ, შეიარაღებულ ძალებს და დონბასელ მებრძოლებს — თქვენ იბრძვით სამშობლოსა და მომავლისთვის, რომ არავინ არასდროს დაიგიწყოს მეორე მსოფლიო ომის გაკვეთილები, რომ მსოფლიოში არ იყოს ნაცისტების და ჯალათების ადგილი“, — განაცხადა პუტინმა.

აღსანიშნავია, რომ წელს წითელ მოედანზე გამართულ აღლუმს არც ერთი უცხოელი სტუმარი არ ესწრებოდა. ცნობილი გახდა, რომ უამინდობის გამო, აღლუმის დროს ავიაციაც ვერ გამოიყენეს.

ვოლოდიმირ ზელენსკი: ნაციზმზე გამარჯვების დღეს ახალი გამარჯვებისთვის ვიბრძვით!

უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ მეორე მსოფლიო ომში ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღეს განაცხადა, რომ უკრაინა რუსეთთან ომში გაიმარჯვებს და თავის ტერიტორიებს არ დათმობს.

„ნაციზმზე გამარჯვების დღეს ჩვენ ახალი გამარჯვებისთვის ვიბრძვით. გამარჯვებისკენ მიმავალი გზა რთულია, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ გავიმარჯვებთ“, — აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. მისი თქმით, უკრაინელები თავისუფალი ხალხია, რომლებიც ისტორიაში არაერთხელ იბრძოდნენ საკუთარი მიწის დასაცავად.

„დღეს ჩვენ ვიბრძვით ამ გზაზე და არავის მივცემთ ჩვენი მიწის არცერთ ნაწილს. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი წინაპრებით, რომლებმაც ჰიტლერის საწინააღმდეგო კოალიციაში სხვა ერებთან ერთად დაამარცხეს ნაციზმი. არავის მივცემთ ამ გამარჯვების მითვისების უფლებას. არ არსებობს ოკუპანტი, რომელიც ჩვენს თავისუფალ მიწაზე ფესვს გაიდგამს. არ არსებობს დამპყრობელი, რომელსაც შეუძლია ჩვენს თავისუფალ ხალხზე ბატონობა. ადრე თუ გვიან ჩვენ გავიმარჯვებთ“, — აღნიშნა ზელენსკიმ.

◎ ლეგიონერი

„შერმინატორის“ ბენეფისი

გიორგი შერმადინს აღიარება და ტიტულები არ აკლია, მაგრამ ევროლიგის ორგზის ტრიუმფატორი ასაკის მატებასთან ერთად გვარწმუნებს, რომ დიდოსტატობა წლებს არ ექვემდებარება და ახალ-ახალი როგორც პირადი, ისე რაც მთავარია, გუნდური მიღწევებით ისევ გვანებივრებს.

ამჯერად „ტენერიფეს“ ლიდერის ბენეფისად იქცა ბილბაოში გამართული ჩემპიონთა ლიგის ოთხთა ფინალი, რომელშიც კუნძულელებმა გადამწყვეტი მატჩი ასევე ესპანურ „მანრესას“ 98:87 მოუგეს და ტურნირის გამარჯვებულნი გახდნენ, „ჯვაროსანი“ ვეტერანი კი ცენტრის პოზიციაზე ასპარეზობის სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს. რაც შეეხება ზემოთ უკვე ნახსენებ შეხვედრას, გიომ იგი ასეთი მონაგრით დაასრულა: 19 წუთში 14 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა. ვულოცავთ.

◎ ცხენოსნობა

ოლიმპიადისთვის მზადება კაჭრეთიდან დაიწყება

2024 წლის პარიზის ოლიმპიური თამაშებისთვის ცხენოსნებს გაისად სალიცენზიო ტურნირები დაეწყებათ. ამ შეჯიბრებებისთვის საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია აქედანვე ემზადება. საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ფედერაციას ცხენების შესაძენად წლეულს 200.000 ევრო გამოუყო. მსოფლიოს თასის გათამაშების სამგზის ფინალისტმა და საქართველოს ცხრაგზის ჩემპიონმა, საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაციის ვიცე პრეზიდენტმა შალვა გაჩეჩილაძემ, რომელმაც საწვრთნელი შეკრება იტალიაში გაიარა, აპენინელებისგან სამი ცხენი შეიძინა — ორი ბელგიური (6 წლის „ლოლა“ და 5 წლის „ლუციფერი“) და ერთიც ფრანგული ჯიშისა (10 წლის „მოდესტი“).

სწორედ, „მოდესტი“ მომზადდება 2023 წლის სალიცენზიო ტურნირებისთვის. არ არის გამორიცხული, ის კაჭრეთში 2022 მაისს ცხენოსანთა მსოფლიოს თასის შესარჩევ ეტაპზე გამოსცადონ. აქ კონკურში (წინაღობათა გადალახვა) მომდევნო რაუნდში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად ქართველი, სომეხი, ირანელი და აზერბაიჯანელი მხედრები იასპარეზებენ.

— ამჟამად ჩვენი უპირველესი საზრუნავი კაჭრეთში შეჯიბრების მაღალ დონეზე ორგანიზება და წარმატებული გამოსვლაა, — გვითხრა შალვა გაჩეჩილაძემ. — სექტემბერში მსოფლიოს თასის გათამაშებას ვუმასპინძლებთ, მომავალი წლიდან კი კულტურისა და სპორტის სამინისტროს თანადგომით სალიცენზიო ტურნირებში ვიასპარეზებთ და პარიზის თამაშების საგზურის მოსაპოვებლად არაფერს დავიშურებთ.

◎ ფეხბურთი

ლიდერმა პოზიცია განიმტკიცა

საქართველოს ეროვნულ ლიგას თერთმეტი ტურის შემდეგ 24 ქულით ბათუმის „დინამო“ მეწინავეობდა. ლიდერს 2-2 ქულით თბილისის „დინამო“ და გორის „დილა“ ჩამორჩებოდნენ. მე-12 ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ზღვისპირელებმა სწორედ „დილას“ უმასპინძლეს. მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო და სტუმრებს მალე ანგარიშის გახსნის რეალური შანსი მიეცათ, მაგრამ თორნიკე კაპანაძემ ის ვერ გამოიყენა — ბათუმელები ჯერ ძელმა, მერე კი ლაზარე კუპატაძემ იხსნა. ამ მომენტიდან გია გეგუჩაძის შეგირდებმა იერიშები გააძლიერეს და 30-ე წუთზე ხვიჩა კვარაცხელიამ ზურიკო დავითაშვილის შესანიშნავი პასის შემდეგ დინამოელები დააწინაურა.

ბათუმელებმა გადამწყვეტ უპირატესობას მატჩის ბოლო ათ წუთში მიაღწიეს, როცა შეცვლაზე შემოსულმა ჯაბა ჯიღაურმა და თორნიკე გაფრინდაშვილმა მეტოქის საჯარიმოში ლამაზად გათამაშებული კომბინაციები გოლებით დააგვირგვინეს. ბათუმის „დინამომ“ საბოლოოდ 3:0 გაიმარჯვა, მოაგროვა 27 ქულა და უახლოეს მდევრებს — თბილისის „დინამოსა“ და გორის „დილას“ 5-5 ქულით გაუსწრო. მომდევნო ტურში ზღვისპირელები 21 ქულით მეოთხე ადგილზე მყოფ „საბურთალოს“, ხოლო გორელები თბილისის დინამოელებს შეხვდებიან.

◎ ძიუდო

ახლა მთავარი თბილისის დიდი სლემია

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში ძიუდოისტთა წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავად იასპარეზეს ქართველმა მოჭიდავეებმა — მათ ორი ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ტატო გრიგალაშვილი (81 კგ) და ლუკა მაისურაძე (90 კგ), ხოლო გურამ თუშიშვილსა ((100 კგ) და ეთერ ლიპარტელიანს (57 კგ) ბრინჯაოს ჯილდოები ერგოთ, საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში საფრანგეთისა და ნიდერლანდების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა.

ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ ქართველმა ფალავნებმა მთავარი მწვრთნელის — ლაშა გუჯეჯიანის ხელმძღვანელობით ახალი შეჯიბრებისთვის — თბილისის „დიდი სლემისთვის“ მზადება დაიწყეს, რომელსაც საქართველოს დედაქალქი 3-5 ივნისს უმასპინძლებს. გუჯეჯიანის თქმით, თბილისელი მაყურებელი ტატამზე საქართველოს ყველა უძლიერეს ძიუდოისტს იხილავს.

„20 მაისიდან საწვრთნელ შეკრებას დავიწყებთ და სრული დატვირთვით ვივარჯიშებთ, — ამბობს ძიუდოისტთა მთავარი მწვრთნელი. — მართალია, სოფიაში ვაჟებმა სამი მედალი მოინაგრეს და შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ, მართალი გითხრათ, უფრო მეტს მოველოდი — სხვა წონებშიც გვქონდა მედლების მოპოვების შანსი, რაც სრულად ვერ გამოვიყენეთ. ამ შეჯიბრებამ რეალური სურათი გვაჩვენა — იდეალურ მომზადებამდე ჯერ კიდევ რაღაცები გვაქვს გამოსასწორებელი, უპირველესად, მოტივაციის გაზრდის მიზნით.

გუნდში ძირეული ცვლილებები არ არის საჭირო, თუმცა მაქსიმალისტები ვართ და ხარვეზები დროულად უნდა აღმოიფხვრას — ნაბიჯ-ნაბიჯ წინ უნდა ვიაროთ. თბილისის ტურნირის შემდეგ ბუდაპეშტისა და ზაგრების შეჯიბრებები გველის. ვეცდებით, მსოფლიოს ჩემპიონატს სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ“.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲓᲔᲑᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა და მინისტრის პირველმა მოადგილემ კახა სისარულიძემ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე მინისტრმა და მისმა პირველმა მოადგილემ განიხილეს ქუთაისის ოპერის ახალი კადრებით გაძლიერების აუცილებლობა იმისთვის, რომ ამ უდიდესი ისტორიის და ტრადიციის მქონე თეატრს სათანადო პირობები ჰქონდეს განვითარებისთვის.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ ხელი უნდა შეეწყოს ქუთაისის ოპერის სცენაზე იმ ადგილობრივი ახალგაზრდების დაბრუნებას, ვინც დედაქალაქის თეატრებსა და ორკესტრებში მუშაობს. ბუნებრივია, რომ ასევე ხელი უნდა შეეწყოს სხვა კვალიფიციური კადრებით ქუთაისის ოპერის თეატრის შევსებას. ამ მიზნით, ქუთაისის ოპერა გაძლიერდება ახალი საშტატო ერთეულებით, ხოლო არსებულ ზოგიერთ შტატზე გაიზრდება ანაზღაურება, რაც აუცილებელია თეატრის სრულფასოვანი შემოქმედებითი ფუნქციონირებისთვის.

შეხვედრაზე, ასევე, ქუთაისის ოპერის შენობის რეაბილიტაციის შესახებ იმსჯელეს. აღინიშნა, რომ შენობის რეაბილიტაციის პროექტირება ზაფხულში დასრულდება, რის შემდეგაც, მიმდინარე წლის ბოლოსთვის, უკვე შესაძლებელი იქნება სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქუთაისის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი **ირინე ლომინაძე,** მთავარი დირიჟორი **რევაზ ჯავახიშვილი** და ახლად დანიშნული დირექტორი **ზურაბ ოიკაშვილი,** რომელიც სპეციალურად ამ პროექტის განხორციელების მიზნით თბილისიდან ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად. მანამდე კი იგი 2004-2014 წლებში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის განვითარებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი იყო, ხოლო 2014 წლის მარტი-მაისის პერიოდში სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობას ასრულებდა.

ქუთაისის ოპერის ხელმძღვანელობამ მინისტრსა და მის პირველ მოადგილეს მადლობა გადაუხადა მხარდაჭერისთვის. აღინიშნა, რომ ეს არ იყო პირველი სამუშაო შეხვედრა მინისტრთან. ქუთაისის ოპერის თეატრს სახელოვანი წარსული და დიდი პოტენციალი აქვს და სახელმწიფოს ხელშეწყობით ბევრი სასიკეთო ცვლილება განხორციელდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17ა

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ
ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1- გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲣᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ



12 ᲛᲐᲘᲡᲡ საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ანდრია პირველწოდებულის ხსენებას.

ყველასთვის ცნობილია, რომ ანდრია პირველწოდებული იყო ქრისტეს პირველი მოწაფე, ამიტომაც მას ეწოდა პირველწოდებული. მანვე დაუმოწაფა ქრისტეს თავისი ძმა — პეტრე, შემდეგში — მოციქულთა თავი. ანდრია პირველწოდებული და პეტრე მოციქული წარმოშობით ბეთსაიდიიდან იყვნენ, ხელობით — მებადურნი.

თავდაპირველად ანდრია იოანე ნათლისმცემელს დაემოწაფა, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად სწორედ მათ ეჩვენა იესო ქრისტე და ამცნო, რომ ისაა ძე ღმრთისა. სულიწმიდის გარდამოსვლის შემდეგ, მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. წმინდა ანდრიას წილად ხვდა შავი ზღვისპირა ქვეყნები, მათ შორის საქართველო, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი და სკვითია, ანუ მიწა, რომელზეც შემდეგ რუსეთი წარმოიქმნა... სიმონ კანანელთან და მატათასთან ერთად ის საქართველოს განმანათლებლად ითვლება.

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝᲗ 8 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲗᲘ ᲥᲝᲥᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, შარტავას ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებულ 8 წლის ᲓᲐᲗᲘ ᲥᲝᲥᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ საზოგადოების დახმარება სჭირდება. როგორც დათის მამამ განაცხადა, ამ ეტაპზე საჭიროა ნახევარი მილიონი დოლარი, რათა დათი გადარჩეს. დათი ქოქრაშვილი მკურნალობას ისრაელში, კლინიკა SHEBA HOSPITAL-ში განაგრძობს. დახმარების მსურველებს შეუძლიათ თანხა გადარიცხონ შემდეგ რეკვიზიტზე:

TBC: #GE05TB7962745064300024
BOG: #GE90BG0000000101545483
ᲛᲘᲛᲓᲚᲔᲑᲘ: ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔ ᲛᲐᲛᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲓᲔᲓᲐ #ᲓᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ

Ი. ᲭᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲡ ᲓᲐ Ა. ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ- ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ,13 Ა,VII ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ. ᲢᲔᲚ.224 00 99; 224 00 98.
ᲛᲐᲚᲔ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲜ ᲕᲘᲢᲠᲝ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ. ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐᲡ!

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲡᲐᲛᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲕᲘᲝᲚᲘᲜᲝ ᲒᲐᲘᲢᲐᲜᲔᲡ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ იტალიელი ოსტატის, ჯუზეპე გვარნერის მიერ 1736 წელს დამზადებული ვიოლინო შესაძლოა, Aguttes-ის აუქციონზე 10.5 მილიონ აშშ დოლარად გაიყიდოს. ინსტრუმენტს ვიოლინოების „ლეონარდო და ვინჩის“ უწოდებენ.

დღეისათვის ჯუზეპე გვარნერის მიერ დამზადებული მხოლოდ 150-მდე ინსტრუმენტია შემორჩენილი. იტალიელმა ოსტატმა ამ საქმეს მხოლოდ 16 წელი მიუძღვნა, რადგან ადრეულ ასაკში, 46 წლის გარდაიცვალა. Aguttes-ის სააუქციონო სახლის წარმომადგენლების განცხადებით, 10 წელზე მეტი ხანია, რაც გვარნერის ვიოლინო აუქციონზე არ გამოჩენილა.

ᲒᲐᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲑᲠᲘᲚᲘᲐᲜᲢᲘ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐᲨᲘ გაყიდიან ყველაზე დიდ თეთრ ბრილიანტს, რომელიც ოდესმე აუქციონზე გაუტანიათ. ძვირფას ქვას სააუქციონო სახლი Christie's გაყიდის. ბრილიანტის წონა 228,31 კარატია. მას „კლდეს“ უწოდებენ. ექსპერტების ვარაუდით, ბრილიანტი 30 მილიონ დოლარად გაიყიდება.

მასთან ერთად ვაჭრობაზე ყვითელ ბრილიანტსაც გაყიდიან, რომელსაც „წითელი ჯვრის ბრილიანტი“ ეწოდება. მისი წონა 205,07 კარატია. აუქციონზე მიღებული თანხის ნაწილი წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში გადაირიცხება. ვაჭრობა დღეისთვის არის დაგეგმილი.

ᲑᲝᲜᲝᲛ „ᲮᲠᲔᲨᲩᲐᲢᲘᲙᲖᲔ“ ᲘᲛᲦᲔᲠᲐ

ᲚᲔ�გᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ირლანდიური როკჯგუფის U2-ის სოლისტმა ბონომ და ირლანდიელმა მუსიკოსმა The Edge-მა, ყველასთვის მოულოდნელად კიევის მეტროსადგურ „ხრეშჩატიკზე“ უკრაინის სოლიდარობის კონცერტი გამართეს.

„ხალხი უკრაინაში არ იბრძვის მხოლოდ საკუთარი თავისუფლებისთვის, თქვენ იბრძვით ყველა ჩვენგანისთვის, ვისაც თავისუფლება უყვარს“, — თქვა საგენტო AFP-ის ცნობით, ბონომ სიმღერებს შორის შესვენების დროს.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 13 ᲛᲐᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.0318; ᲔᲕᲠᲝ - 3.2110
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.7506;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.5709; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.2063;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.7886;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3609.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 11 ᲛᲐᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +4, ᲓᲦᲔ +20
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +0, ᲓᲦᲔ +17
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +5, ᲓᲦᲔ +19
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +1, ᲓᲦᲔ +17
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +8, ᲓᲦᲔ +19

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge